# ალია

რამდენით ძვირდება თამბაქო და ალკოჰოლური სასმელები 1 იანვრიდან



12

N177/3299/ 20-23 ნოემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

WWW.ALIA.GE

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## როგორც მოგიყვანეთ, ისე „აგაცმევინებთ“. თქვენ კულტურული ფრაზეოლოგია არ გესმით, ქვეყანა პროვინციული პოლიტიკით იმართება

გომიაშვილი დავით ნარმანია, განა მისი გეოგრაფიული წარმომავლობის გამო, არამედ მისი მენტალობის გამო



5

## შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო იუსტიციის მინისტრის დადგმული სპექტაკლი

შოთაძე 6 წელი უნდა იყოს მთავარი პროკურორი და წულუკიანი და ღარიბაშვილი ამდენ ხანს იქნებიან მინისტრები?



11

რაში უხდის აშშ-ის საელჩო მიხეილ მაჭავარიანს 27 ათას დოლარს?



4

როგორ მოვიქცეთ ტერორისტული აქტის შემთხვევაში? – BBC რჩევებს აქვეყნებს



12

## პრემიერმა ლარის კურსი მიივიწყა — ხმას აღარ იღებს; საწვავის ფასი მიივიწყა — ამაზეც აღარ იღებს ხმას... თუ მაშინ ლარს ხელოვნურად აუფასურებდნენ და საწვავის ფასები კარტელური იყო, შეიცვალა რამე? არც არაფერი

7

ნავთობის ფასი 43 დოლარამდე დაეცა — როდის გახდება საწვავი 1,40 ლარი?

## „ვისაც არ სჯერა, ვთავაზობ ხოლმე, რომ შევიდეს საძინებელში და ღამე გაათენოს...“



ვაკეში მცხოვრები ქალბატონი მოჩვენებების შესახებ „ალიას“ დაუჯერებელ ისტორიებს უყვება

10

ანუ, ნოდარ ბატონო, სამწვადე იყიდეთ, შამფურზე წამოაგეთ, შეწვით და შეჭამას არ აპირებთ? მტყუნის?!



2

„ქურთი სტალინი“



12

10 ყველაზე სასარგებლო ტკბილეული



15

როგორ უნდა გახდეს ადამიანი ბედნიერი?



16

პროფესიები, რომლებიც ოჯახებს ანგრევს – ფრთხილად შეარჩიეთ პარტნიორი



15

მეცნიერები: ანტიბიოტიკები გასუქებას იწვევს



16

პოლიციაში მუშაობის დაწყება... ქებნილმა დამნაშავემ გადაწყვიტა



15

# ანუ, ნოდარ ბატონო, სამწვადე იყიდეთ, შამფურზე წამოაგეთ, შეწვით და შეჭმას არ აპირებთ? მტყუნის?!

ნოდარ ხადურის მტკიცებით, ხელფასები და დანამატები მაღალი თანამდებობის პირებს არ მომატებიათ, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ანაზღაურების ფონდი გაზრდილია. უწყებაში აღნიშნული კუთხით არსებულ ვითარებაზე ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა, რომელსაც შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სთხოვა.



– პრემიების საკითხი მთავრობის დადგენილებით არის მოწესრიგებული და თუ აქამდე მას ყოველთვიურად გავცემდით, ახლა ეს არის შეზღუდული, როგორც მოცულობაში, ისე რაოდენობრივად. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ფონდს, ის მართლაც გაზრდილია, მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რა არის აღნიშნულის ძირითადი წყაროები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 113 მილიონი ლარით გაიზარდა ჯარისკაცების ხელფასები 2012 წელთან შედარებით. ხაზს ვუსვამ – ჯარისკაცების ხელფასები და აქ არ არის საუბარი მაღალი თანამდებობის პირებზე. ასევე, 106 მილიონი ლარითაა გაზრდილი რიგითი პოლიციელების ხელფასები, იმ ადამიანების, რომლებიც იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს. სახელმწიფო ბიუჯეტში 44 მილიონი ლარია გათვალისწინებული სახანძრო-სამაშველო სამსახურების ხელფასებზე, რასაც 31 დეკემბრამდე ადგილობრივი მუნიციპალიტეტები იხდიან, 1-ლი იანვრიდან კი გადაიხდის შინაგან საქმეთა სამინისტრო, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

რაც შეეხება ცალკეულ უწყებას, ფინანსთა მინისტრმა მათზე ცალ-ცალკე ისაუბრა და ის მიზეზები განმარტა, რამაც რიგი სამინისტროს შემთხვევაში შრომის ანაზღაურების ზრდა გამოიწვია.

– მოსამართლეების ხელფასების ზრდის პარალელურად, არა ისეთი მოცულობით, მაგრამ 10 მილიონი ლარით არის გაზრდილი პროკურორებისა და გამომძიებლების ხელფასები. სასამართლოებში ხელფასები გაზრდილია 21 მილიონი ლარით. აქ შედის როგორც მოსამართლეების, ისე სასამართლოს აპარატის თანამშრომლების ხელფასები. გარემოს დაცვის სამინისტრო: თუ არ ჩავუღრმავდებით, ჩანს, რომ ხელფასები გაზრდილია, სინამდვილეში კი მოხდა ის, რომ აღდგა ადრე გაუქმებული სამსახურები, რომლებიც იცავენ ბუნებას, ეს არის გარემოს ზედამხედველობის სამსახური და სატყეო სააგენტო. მხოლოდ აქ არის ზრდა, არანაირ ხელფასების მატებას ადგილი არ ჰქონია. სოფლის მეურნეობის სამინისტრო: თქვენ იცით, რომ ჩვენ ვალდებულება გვქონდა აღებული, მათ შორის ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შეთანხმების შესაბამისად, რომ ხარისხის კონტროლი უნდა განხორციელდეს სურსათის უვნებლობაზე. ამ მიზნით აღდგა რამდენიმე სამსახური, რომელიც ასევე გაუქმებული იყო. ამან არითმეტიკულად გამოიწვია მატება. ამასთანავე, რამდენიმე პროექტი ითხოვს კადრების დამატებას და მხოლოდ ამ მიმართულებით არის შრომის ანაზღაურების გაზრდაზე საუბარი. კულტურის სამინისტრო, რომელზეც დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ, რომ ხელფასები კოლოსალურად გაიზარდა – მინდა გითხრათ, რომ აქ არის, უბრალოდ, ციფრებით მანიპულირება. კულტურის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ხელფასები არის შემცირებული (ბევრით არა – სულ 14 ათასი ლარია, მაგრამ შემცირებაა), რადგან გადავიდა სხვა ტიპის და აბსოლუტურად სწორ მიდგომაზე – ადამიანები დამსახურების მიხედვით იღებენ ანაზღაურებას. კულტურისა და განათლების სამინისტროს შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ ფაქტორზეც – სიპებზე, რომელიც კულტურის სამინისტროში 80-მდეა და განათლების სამინისტროში კიდევ უფრო მეტი. სიპების ხელფასები ადრე ფინანსდებოდა სხვა, სუბსიდიების მუხლიდან. ჩვენ უბრალოდ გავასწორეთ ეს და ხელფასს დავარქვით ხელფასი, თორემ თანხა არ მოგვიმატებია. რაც იყო, იგივეა. ცალკე გეტყვით მასწავლებლების ხელფასზე. ჩვენ 2012 წლის დეკემბერში გავზარდეთ მათი ხელფასი, წელსაც გაიზარდა დაახლოებით 25 მილიონით და მომავალ წელსაც არის დაგეგმილი დაახლოებით 45 მილიონი. ფინანსთა სამინისტროს ხელფასები შემცირებულია 2 მილიონი ლარით. ეკონომიკის სამინისტრომ კი, მოგეხსენებათ, რამდენიმე ძალიან საინტერესო პროექტი დაიწყო და მხოლოდ ამ მიმართულებით არის მატება, რაც მიზერია.



საქართველოს პარლამენტს აქვს გაზრდილი შრომის ანაზღაურება, მაგრამ ეს არის გამოწვეული იმ ფაქტით, რომ პარლამენტის წევრებს უწევთ ბინების დაქირავება ქალაქ ქუთაისში. კანონის შესაბამისად, თუ იმ ქალაქში, სადაც არის პარლამენტი და პარლამენტის წევრს არ აქვს ბინა, მაშინ მათთვის სახელმწიფო ქირაობს ბინებს და ეს ეთვლებათ შრომის ანაზღაურებად. თბილისში ძირითადად ყველას აქვს ბინა, ქუთაისში კი სულ რამდენიმე პარლამენტარია, რომელიც ბინას ფლობს.

სასჯელაღსრულების სამინისტროში გაზრდილია ხელფასები, თუმცა ეს მოხდა 2012 წლის სექტემბერში. ციხის კადრების შემდეგ გაზარდეს. აუდიტის სამსახურში 2012 წელს შრომის ანაზღაურება შეადგენდა 5,1 მილიონ ლარს, მომავალ წელს კი იქნება 11,8 მილიონი ლარი – 131 პროცენტითაა გაზრდილი. მოგეხსენებათ, აუდიტის სამსახურის ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ადგილობრივ თვითმმართველობებშიცაა გაზრდილი შრომის ანაზღაურება. ჯამში, დაახლოებით 50 მილიონი ლარით, მაგრამ ესეც არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, 2012 წლის ნოემბრის განკარგულების მიხედვით, როდესაც მან მნიშვნელოვნად გაზარდა „ჭერი“, რომელიც იყო დაწესებული. აი, ეს არის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ნათელი სურათი, – განაცხადა ნოდარ ხადურმა. (პირველი რადიო)

**სიმწრისგან შეიძლება გასკდეს ადამიანი, ისეთი არგუმენტებია!!!**

**ნუ, იმას ვერ დაანებეს თავი „ოცნებაში“, რომ სააკაშვილი და მის დროს მიღებული მამაძაღლური კანონები არ მოიშველიონ.**

**თქვე დალოცვილებო, ამ შემთხვევაში, პარლამენტს მივმართავთ, თქვენს ხელში არ არის ეს დედაარღნიანი კანონები, რომლებიც მიშამ მიიღო? ჰოდა, თუ რამე არ მოგწონთ, შეცვალეთ, შეასწორეთ ან მთლად უკეთეს — გააუქმეთ! მაგრამ რატომ იზამთ ასე, სათქვენოდ კი გყოფნით ჭკუა და რატომ დაკარგავთ პრივილეგიებს, ფუფუნების წყაროებს?!**

**ისე, თავის მართლება ჩინებულად დაიწყო ხადურმა — პირველ რიგში, პოლიცია ახსენა, მეხანძრე-მაშველები და ჯარისკაცები. თუ პოლიციელებს არ ჩავთვლით, ხალხს ნაკლები აგრესია და უკმაყოფილება აქვთ ჯარისკაცებისა და მაშველების მიმართ.**

**კარგით, გავატაროთ ეს ამბავი, მაგრამ შემდგომ პუნქტზე თვალი როგორ დავხუჭოთ, ამის დედა ვატირე?!**

**გამომძიებლებსა და პროკურორებს 10 მილიონით, ხოლო სასამართლოებს 21 მილიონით გაეზარდათ ხელფასებიო.**

**რომელ გამომძიებლებსა და პროკურორებს, ვერც ერთი ხმაურიანი საქმე ხეირიანად რომ ვერ გამოიძიეს, არა?! ან რომელ მოსამართლეებს გაუზარდეთ ხელფასები, ურთმელიძისნაირებს?! იმ მოსამართლეების, ისედაც ათასები რომ აქვთ ხელფასები, არა?!**

**არა, ნუ, არ ღირს ნერვების შლა, როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ, მაგრამ იმას კი არ ფიქრობენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამოასხამს ხალხს ყელში ეს განუკითხაობა, ეს მამაძაღლობა და უნამუსობა და ისე მწარედ მოსთხოვს პასუხს, ქართულს კი არა და ჩიქორთულ ოცნებას, გასაქცევს ველარ იპოვიან!!!**



# „დანამატი არის იგივე პრემია“ — გასაგებია, „ოცნება“?!

საპრემიო სისტემასთან დაკავშირებით ყველა კითხვა რომ მოიხსნას, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია, გაუქმდეს დანამატების სისტემა. აუდიტის სამსახურის დასკვნასა და მმართველი გუნდის შეფასებებს ეხმაურება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის **(IDFI)** დირექტორი.




– იმ ნაწილში, რომ მაღალი თანამდებობების პირები არ იღებენ პრემიებს, ეს ასე არ არის. მინისტრის მოადგილეებს თუ გულისხმობდა, მაგ შემთხვევაში პრემიერი ცდება, მაგრამ თუ მინისტრებს გულისხმობდა, ამ შემთხვევაში მართალია. იშვიათია პრაქტიკა, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელები იღებენ პრემიებს. მათ ძირითადად აქვთ დანამატები. დანამატი არის იგივე პრემია, ფაქტობრივად, რაც იყო წინა ხელისუფლების დროს და რასაც ჩვენ ვეძახდით ცუდ პრაქტიკას, იმ განსხვავებით, რომ სისტემა არის უფრო გამჭვირვალე. ანუ, ჩვენ ვიცით ყოველთვიურად რა დანამატს იღებს სტანდარტულად, ანუ მუდმივად, თანამდებობის პირი. მართებული იქნებოდა, რომ ხელფასი ყოფილიყო ადეკვატური, შეიძლება ვიღაცისთვის მაღალი, ვიღაცისთვის დაბალი, ეს შეფასებითია. უბრალოდ, ხელფასს ერქვას ხელფასი, იყოს სისტემა გამჭვირვალე და აღარ გვქონდეს ეს რაღაც უაზრო წანაზარდები, – აცხადებს გიორგი კლდიაშვილი.

ამ საკითხს ეხმაურება გენერალური აუდიტორი ლაშა თორდიაც, რომელიც აცხადებს, რომ დანამატების საკითხის დარეგულირების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი:

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

– ჩვენ რეკომენდაცია მივეცით მთავრობას, ვინაიდან მთავრობამ მიიღო დადგენილება პრემიებთან დაკავშირებით. თუ მთავრობამ დაარეგულირა პრემიების საკითხი, აუცილებელია, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას, რომ დანამატების საკითხიც დარეგულირდეს. დაერქვას ამ თანხას ხელფასი და ყველასთვის იქნება ნათელი, რამდენი აქვს ხელფასი ამა თუ იმ უწყებაში საჯარო მოხელეს და რა არის იმის ზემოთ დანამატი და პრემია. ყოველთვის მივესალმებით, თუ მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას, დაარეგულიროს აღნიშნული პრობლემა და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, როგორ ფინანსდებიან უწყებები, რა გასამრჯელოებია, რა არის დანამატი და რა არის პრემია, – აცხადებს თორდია.

მისივე თქმით, დანამატები არ შეიძლება წინასწარ იყოს განსაზღვრული.

– უნდა იყოს დასაბუთებული, რატომ გაიცა დამატებით თანხები. პრემია და დანამატი გულისხმობს ზეგანაკვეთური შრომის შედეგად გასამრჯელოს, ან უქმე დღეებში მუშაობის გამო მიღებულ გასამრჯელოს და ა.შ. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, წინასწარ იყოს ცალკეული საჯარო მოხელეებისთვის განსაზღვრული დანამატიც და პრემიაც. ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით, რომ პრემია ან დანამატი არ არსებობდეს. ფინანსთა მინისტრის ბრძანებისა და კანონმდებლობის მიხედვით პრემიასაც და დანამატსაც უნდა მოჰყვეს შესაბამისი დასაბუთება. ეს არ ჩანს არსად, – აღნიშნა თორდიამ. (პირველი რადიო, ინტერპრესნიუსი)

# ხოხ, აქ რაღაცა მოხდებააა...

დედაქალაქის მთავრობის მიერ მომზადებულ თბილისის ბიუჯეტის პროექტს, საკრებულოს უმცირესობასთან ერთად, მხარს არც უმრავლესობა უჭერს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თედო კობახიძის განცხადებით, წარმოდგენილი ბიუჯეტი საკრებულოს მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს:



– წარმოდგენილ ბიუჯეტს საკრებულო არ დაუჭერს მხარს, იყო მთელი რიგი შენიშვნები, ამ შენიშვნებით ჩვენ დავაბრუნებთ წარმოდგენილ პროექტს მერიაში. თუ მერია არ გაითვალისწინებს ჩვენს შენიშვნებს, ამ შემთხვევაში უკვე დეკემბერში გვექნება ჩვენი პოზიცია. თუ ჩვენი შენიშვნების გათვალისწინებით ახალი პროექტი შემოვა, ამაზე მომავალში ვიმსჯელოთ. იმედია, იმპიჩმენტზე არ მოგვიწევს მსჯელობა, – განაცხადა თედო კობახიძემ. (ნიუპოსტი)

**პირიქით, კაცო, პირიქით, იმედია, მოგიწევთ იმპიჩმენტზე მსჯელობა და აი, რატომ:**

**ჯერ ერთი, უნდა ნახონ ჩინოვნიკებმა, რომ უსაქმურობა ისჯება, ტყუილები ისჯება, დაპირებების შეუსრულებლობა ისჯება...**

**მერე მეორე — უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ნარმანიაზე ნამეტანი აჯაგრულია დედა პარტია და აჰა, მართალი ყოფილა ყველაფერი. ეტყობა, ბოლო პერიოდში მერიც სწორედ ამიტომაა ასეთი აგრესიული...**

# 3-დღიანი გამყარების შემდეგ ისევ გაუფასურდა



საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის თანახმადაც, 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 20 ნოემბრისთვის 2,4081 ლარი იქნება. აქამდე მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით, 1 აშშ დოლარი 2,4001 ლარს შეადგენდა. ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში 0,0080-ით გაუფასურდა.

სებ-ის კურსით, 1 ევროს შეძენა 2,5759 ლარად იქნება შესაძლებელი. აქამდე მოქმედი კურსი კი 2,5616 ლარს შეადგენდა, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში 0,0143-ით გაუფასურდა. (ნიუპოსტი)

## გადაგვრევს ეს კაცი — თქვენმა ქვედა მეზობელმა სახლის წინ ნაგავი რომ დაიყაროს, ხელი არ ახლოს, აქოთოს მთელი სადარბაზო, მისი გატანის სურვილი არ უნდა გაგიჩნდეს?!



თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშიას თქმით, მიწისქვეშა გადასასვლელების დიდი ნაწილი კერძო მფლობელებზეა გასხვისებული.

სამუშიას განმარტებით, მიწისქვეშა გადასასვლელები წინა ხელისუფლების მიერ გასხვისდა და მერიის მფლობელობაში ძალიან ცოტა გადასასვლელია დარჩენილი.

– მიწისქვეშა გადასასვლელების ძალიან დიდი ნაწილი წინა ხელისუფლების მიერაა გასხვისებული. აქედან გამომდინარე, მათ ჰყავთ კონკრეტული მეპატრონე და გვინდა, აღნიშნულმა მეპატრონეებმა ჩადებული ვალდებულებები შეასრულონ და მოუარონ გადასასვლელებს, – ასე უპასუხა ჯაბა სამუშიამ შეკითხვას, რატომ არის 2016 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტში ცარიელი გრაფა, სადაც ჩაწერილი უნდა იყოს ხარჯები, რომლითაც მომავალ წელს თბილისში მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება მერიის მფლობელობაში დარჩენილ მიწისქვეშა გადასასვლელებს, ჯაბა სამუშიას თქმით, მათი რაოდენობა ძალიან ცოტაა და დაფინანსება სხვა კუთხით ხორციელდება.

– მერიის მფლობელობაში ძალიან ცოტა მიწისქვეშა გადასასვლელია დარჩენილი და მათი დაფინანსება სხვა მიმართულებით მიდის, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

მიმდინარე წელს მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობისა და რეაბილიტაციისთვის თბილისის მერიას 1,2 მილიონი ლარი ჰქონდა გათვალისწინებული, ხოლო 2014 წელს ამ მიზნებისთვის 871 ათასი ლარი დაიხარჯა. (bpn.ge)

**ერთი აქეთ მოიხედეთ, კაცო, რასაა, რომ ლაპარაკობთ?! რისთვის გაქვთ თანამდებობები, მარტო პრემია-დანამატებით ჯიბეების ამოვსებისთვის? თუ ვინმე ვალდებულებებს არ ასრულებს, დააძალეთ, აიძულეთ. რა თქმა უნდა, დაძალება-იძულებაში ცხვირ-პირის მინგრევას არ ვგულისხმობთ, ჯარიმებია ამისთვის, გარკვეული სანქციები.**

**ჰო, კიდევ ერთი, თუ 2014 წელს 871 ათასი ლარი გამოყავით, წელს კი — 1,2 მილიონი, მაგრამ იმდენად ცოტა გადასასვლელია მერიის მფლობელობაში, რომ სხვა მიმართულებიდანაც შეიძლება დაფინანსება, ეს 2 მილიონი სად და რატომლა მიაფშვენით?!**

## რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა აბაშიძემ კარასინისგან...



პრაღაში, აბაშიძე-კარასინის შეხვედრა 3 საათი გაგრძელდა. პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის განცხადებით, შეხვედრაზე ფორმატით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს, მათ შორის სატრანსპორტო, სავაჭრო-ეკონომიკური და ჰუმანიტარული თემები. საუბარი იყო რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე.

ზურაბ აბაშიძის თქმით, საუბარი იყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოქალაქეების გატაცებასა და ასევე, ჯაშუშობის ბრალდებით რუსეთში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ.

– ჩვენ დავადასტურეთ ჩვენი აბსოლუტურად უარყოფითი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც ხდება საოკუპაციო ხაზთან. აღვნიშნეთ, რომ ეს არის ელემენტარული ადამიანური ნორმების უხეში უგულებელყოფა, აღარაფერი რომ არ ვთქვათ საერთაშორისო ნორმებსა და სამართალზე.

რკინიგზის საკითხის განხილვა არც ახლა არ მომხდარა. იყო მცდელობა კარასინის მხრიდან, რომ ეს საკითხი განხილულიყო, მაგრამ ჩვენ ვუთხარით, რომ ის ფორმულა, რაც მათი მხრიდან ადრე გაჟღერდა, არის აბსოლუტურად მიუღებელი, – განაცხადა აბაშიძემ. (news.ge)

**საერთოდ, რა აზრი აქვს ამათთან საუბარს, ნეტა, თუ აგვიხსნის ვინმე?! შეხვედრა შეხვედრისთვის, აი, სულ ეს არის. რატომ და თუნდაც იმიტომ, რომ, როცა აბაშიძე-კარასინის შეხვედრა მიმდინარეობდა, მამააყროლებულმა რუსმა ოკუპანტებმა გორის ერთ-ერთი სოფლიდან მამა-შვილი გაიტაცეს.**





## ჭიათურის მაღაროში აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაშავდა

ჭიათურის მაღაროში აფეთქება მოხდა. როგორც მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი მალხაზ წერეთელი აცხადებს, შემთხვევის დროს მაღაროში ცვლის უფროსი და ამფეთქებელი იმყოფებოდნენ. მალხაზ წერეთლის ინფორმაციით, აფეთქების შედეგად ორივე მათგანი დაშავდა. დაზარალებულები ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– საბედნიეროდ, აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. დაშავებულები კი ჭიათურის საავადმყოფოში არიან გადაყვანილები. ერთს მხედველობა უჭირს, – განაცხადა მალხაზ წერეთელმა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ფაქტზე გამოძიება 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. (kvira.ge)

## სენ-დენიში დაღუპული თვითმკვლელი ტერორისტი ქალის ვინაობა ცნობილია




ბელგიურმა მედიამ სენ-დენიში აფეთქებული თვითმკვლელი ტერორისტი ქალის ვინაობა დაასახელა. როგორც გამოცემა **DH.be** იუწყება, ქალი, რომელმაც „შაჰიდის ქამარი" ააფეთქა, 26 წლის საფრანგეთის მოქალაქე, წარმოშობით მაროკოელი ჰასნა აიტბულაჰენია. ის აბდელჰამიდ აბაუდის დეიდაშვილია, რომელიც პარიზის ტერაქტების ორგანიზატორად ითვლება.

„გარდიანის" ინფორმაციით, ჰასნა აიტბულაჰენი 2012 წლიდან ექსმიტანილთა სიაში ირიცხებოდა და მას სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ. ამასთანავე, ის მუშაობდა სამშენებლო ბიზნესში და ტერორისტებთან უშუალო კონტაქტში შემჩნეული არ ყოფილა. ამიტომ მოგვიანებით მასზე თვალთვალი შეწყდა. ასევე, ცნობილი გახდა, რომ აფეთქებამდე ჰასნა აიტბულაჰენმა დანაშაულის რამდენიმე თანამონაწილესთან დარეკვა მოასწრო და მათ საფრთხის შესახებ შეატყობინა. თუმცა სწორედ ამ ზარების მეშვეობით პოლიციამ ტერორისტული დაჯგუფების სხვა წევრებიც დააკავა. შეგახსენებთ, რომ პარიზის სენ-დენის შემოგარენში სპეცოპერაცია 18 ნოემბერს ჩატარდა. ოპერაციის დროს ორი ტერორისტი დაიღუპა, შვიდი კი პოლიციამ დააკავა. (kvira.ge)

## არჩილ გამზარდია: რატომ არ შეაფასა პრეზიდენტმა მაჭავარიან-კანდელაკის ქმედებები?



საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია რიგ შემთხვევებში, საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის პასიურობას საეჭვოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ორმაგ სტანდარტებთან გვქონდეს საქმე.

– პრემიერს რომ რამე წამოცდება არასწორი, პრეზიდენტი ბრიფინგებს მართავს და მკაცრად კიცხავს ხოლმე, მაგრამ რაც გინდა თქვან „ნაციონალებმა", დუმს. მაინტერესებს, პრეზიდენტმა რატომ არ შეაფასა მაჭავარიან/კანდელაკის ქმედებები?

ორმაგ სტანდარტებთან ხომ არ გვაქვს საქმე? – ამბობს გამზარდია. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ამჯერად ქურდობას მშვიდად არ ჩაუვლია — მოხსნილი საბურავები და აგურებზე შეყენებული მანქანა

ავტომობილი დამნაშავეებმა ჯერ მოიპარეს, შემდეგ საბურავები მოხსნეს, აგურებზე შეაყენეს და ასეთ მდგომარეობაში დატოვეს ჟვანიას სახელობის მოედანზე, თვითონ კი ადგილიდან მიიმალნენ.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება 177-ე, ქურდობის მუხლით მიმდინარეობს. უწყების ინფორმაციით, მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები ბრალდებულის დასაკავებლად. (ნიუპოსტი)

იზნებისთვის 871 ათასი ლარი დაიხარჯა. (bpn.ge)

**მოგვიანებით შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქმე გახსნილია. კერძოდ, ბოროტმოქმედებმა მოიპარეს მხოლოდ საბურავები და არა ავტომობილი.**

## ეეჰ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ხანძარმა მხოლოდ სარდაფი დააზიანა, ისიც უმნიშვნელოდ



რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ხანძარი გაჩნდა. რუსული მედიის ინფორმაციით, ცეცხლი შენობის სარდაფში მცირე ფართობზე გავრცელდა და მისი ლიკვიდაცია თანამშრომლებმა სახანძროს მოსვლამდე მოახერხეს.

ამასთანავე, თავდაცვის უწყება უარყოფს იმ ფაქტს, რომ ამ შემთხვევის გამო შენობაში ევაკუაცია გამოცხადდა და აცხადებენ, რომ უმნიშვნელო ხანძრის გამო შენობის დაკვამლიანება არ მომხდარა და არც არავინ დაშავებულა. (ნიუპოსტი)

## „რუსული სანქციების გამო უკრაინა 600 მილიონი დოლარით დაზარალდება"



რუსეთის მხრიდან დაწესებული სამომხმარებლო ემბარგოს გამო, 2016 წელს უკრაინა 600 მილიონი აშშ დოლარით დაზარალდება.

ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა.

იაცენიუკის თქმით, უკრაინამ რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება სამჯერ – 35-დან 12,5 პროცენტამდე შეამცირა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე მიმართა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესა და უკრაინის სავაჭრო წარმომადგენელს თხოვნით, მოამზადონ რუსული სანქციებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების გადალახვის გეგმა.

სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთში უკრაინული საქონლის ექსპორტი მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში თითქმის 2,3-ჯერ – 4,53 მილიარდიდან 3,61 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა. იმპორტის მაჩვენებელი კი ორჯერ შემცირდა და 5,47 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის ალექსეი ულუკაევის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლებამ უკრაინიდან სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო. ემბარგო 2016 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება. (bpn.ge)

# რაში უხდის აშშ-ის საელჩო მიხეილ მაჭავარიანს 27 ათას დოლარს?

პარლამენტის უმცირესობის წევრს – მიხეილ მაჭავარიანს, რომელიც თბილისში რამდენიმე საცხოვრებელ სახლს ფლობს, ერთ-ერთი აშშ-ის საელჩოზე აქვს მიქირავებული. ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ბინა 153 კვ.მ ფართობისაა.

როგორც მიხეილ მაჭავარიანის ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, პარლამენტის დეპუტატმა აშშ-ის საელჩოსთან ხელშეკრულება 2011 წელს გააფორმა და მისი ვადა 2020 წელს იწურება.

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გაქირავებული ბინიდან მიხეილ მაჭავარიანი შემოსავლის სახით წელიწადში 27 ათას აშშ დოლარს იღებს (თვეში 2250 აშშ დოლარი).

პარლამენტის უმცირესობის ლიდერის სახელზეა რეგისტრირებული თბილისში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. კერძოდ, რუსთაველის გამზირზე და ჭავჭავაძის გამზირზე. მიხეილ მაჭავარიანს ეკუთვნის საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი.

დეპუტატის მეუღლის სახელზეა გაფორმებული მიწის ნაკვეთი თბილისთან ახლოს, ტაბახმელაში. მიხეილ მაჭავარიანის შვილის, 14 წლის ვარდენ მაჭავარიანზეა რეგისტრირებული თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირზე არასაცხოვრებელი ფართი. ხოლო დეპუტატის დედის მარინე მდინარაძის სახელზეა გაფორმებული 600 კვ.მ-ის ფართობის მიწის ნაკვეთი თბილისთან ახლოს, ნაფეტვრებში.

უკვე რამდენიმე მოწვევის პარლამენტის დეპუტატის მეუღლის, სოფიო ჟღენტის სახელზეა რეგისტრირებული 2014 წელს გამოშვებული მსუბუქი ავტომანქანა **Wolkswagen-Tiguan**.

როგორც ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა,



მიხეილ მაჭავარიანმა მეუღლეს ავტომანქანა 2014 წელს, შპს „იბერია ავტოში“ შეუძინა, რაშიც 32 700 აშშ დოლარი გადაიხადა.

მაჭავარიანის მეუღლე, სოფიო ჟღენტი დღემდე თბილისის მერიაში – ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტად მუშაობს. დეპუტატის მეუღლეს, რომელიც თბილისის მერიაში უკვე რამდენიმე წელია, რაც დასაქმებულია, დღემდე ქონებრივი დეკლარაცია არ შეუვსია. მისი ყოველწლიური შემოსავალი 24 115 ლარია, ხოლო მიხეილ მაჭავარიანმა ერთი წლის განმავლობაში პარლამენტიდან 62 445 ლარი მიიღო.

მიხეილ მაჭავარიანს ორი შვილი ჰყავს – 14 წლის ვარდენი და 11 წლის ბარბარე. ორივე მათგანს პირადი საბანკო ანგარიში აქვს.

დეკლარაციიდან ასევე ირკვევა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატს 2014 წელს „თიბისი ბანკიდან“ იპოთეკური სესხი – 100 ათასი აშშ დოლარი აქვს აღებული, რომელიც 2019 წელს უნდა დაფაროს. ამ ეტაპზე მიხეილ მაჭავარიანს უკვე დაფარული აქვს 62 221 აშშ დოლარი. მიხეილ მაჭავარიანს კიდევ ერთი სესხი აქვს აღებული, რომელიც 30 000 აშშ დოლარს უტოლდება.

მიხეილ მაჭავარიანი:

– მე არ ვიცი, ვინ ცხოვრობს ჩემს ბინაში, ეს ჩემი საქმე არ არის. ამერიკის საელჩოს ხელშეკრულება გავუფორმე და თვითონ წყვეტენ, იქ ვინ იცხოვრებს. დედაჩემზე არის გაფორმებული რუსთაველის გამზირზე მდებარე ბინა. ეს საცხოვრებელი სახლი ჯერ კიდევ ბაბუაჩემს 1939 წლიდან ეკუთვნოდა. ამ ბინაში დავიბადე, გავიზარდე და ჩემი ოჯახით ვცხოვრობ. სხვათა შორის, ეს სახლი ოდესღაც გენერალ სარაჯიშვილის იყო. რაც შეეხება ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე საცხოვრებელ სახლს, ის ჩემი და ჩემი მეუღლის საკუთრებაა. იპოთეკით მაქვს დატვირთული. „თიბისი ბანკის“ კრედიტი მაქვს, თავის დროზე 100 ათასი დოლარი ავიღე. ახლა ნაწილი უკვე დავფარე.

სოფელ დიღომში მიწის ნაკვეთი მქონდა, შარშან გავყიდე და ამ თანხით იპოთეკის ნაწილი დავფარე, მგონი, 37 ათასი აშშ დოლარი დამრჩა კიდევ გადასახდელი. დიღომში მიწის ნაკვეთი ჯერ ადრე მქონდა, როცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (აგრარულ უნივერსიტეტში) ვმუშაობდი, მიწის ნაკვეთები რომ დარიგდა, მაშინ შემხვდა. ჩემს ქონებრივ დეკლარაციაში შემოსავლებიც წერია, ყველაფერი შევიძინე ჩემი ხელფასით და კრედიტებით. კრედიტებს ვიხდი იმ შემოსავლებით, რაც მაქვს გაფორმებული.

მიხეილ მაჭავარიანი 1995 წელს საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეს. 1996 წლის ივნისიდან 1999 წლის დეკემბრამდე იყო „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანი. 1999 წელს კვლავ გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი. თუმცა პარლამენტი დატოვა 1999 წლის დეკემბერში, როცა დანიშნეს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრად. ამ თანამდებობიდან გადადგა 2001 წლის აგვისტოში. 2001-2002 წლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი გახდა. 2003 წლის 2 ნოემბერს მაჭავარიანი აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად, როგორც სამგორის მაჟორიტარი დეპუტატი. 2004 წლის 23 აპრილს ის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა.

2008 წელს მაჭავარიანი კვლავ გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი „ნაციონალური მოძრაობის“ სიით და დღემდე პარლამენტის დეპუტატის მანდატით სარგებლობს. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მგონი, ევროპელებისგან ეს ყველაზე დელიკატური უარია, რაც აქამდე გაგვიგია



– თქვენ, რა თქმა უნდა, გაქვთ რაღაც შანსი, მაგრამ ძალიან ნუ იჩქარებთ, ევროკავშირი ჯერ თვითონ უნდა შეიცვალოს, – განუცხადა ჟურნალისტებს საფრანგეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე საუბრისას.

– შეხედეთ, ჩვენ ყველამ, 28 ქვეყანამ ერთად, ვერ შევძელით საერთო პასუხი გაგვეცა იმ ლტოლვილებისთვის, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ. ჩემი რჩევა იქნება, რა თქმა უნდა, რომ თქვენ თავად მოამზადოთ საკუთარი თავი საქართველოში და შემდეგ ვნახოთ. მთავარია, თქვენ მზად იყოთ ამისთვის. ჩვენ, რა თქმა უნდა, ცოტა ვჩქარობთ, ეს აუცილებელიცაა, მაგრამ, როდესაც სირთულეებს ვაწყდებით, საერთო პასუხების მოძებნა საკმაოდ რთულია. ეს არის დიდი მანქანა, რომელიც 28 ქვეყნისგან შედგება. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით თქვენს მობრძანებას ევროკავშირში, ჯერ გარკვეული დროის განმავლობაში კანდიდატის რანგში და შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ, რა თქმა უნდა, გახდებით ევროკავშირის წევრი, – განაცხადა ბერნარ კუშნერმა.

ბერნარ კუშნერი საქართველოს გლობალური ალიანსის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის რანგში სტუმრობს. (რეპორტიორი)

## საფრანგეთში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი სამი თვით გაგრძელდა



პარიზში მომხდარი ტერაქტების გამო საფრანგეთის პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის სამი თვით გაგრძელების შესახებ კანონპროექტი მიიღო. კანონპროექტი ახლა პარლამენტის ზედა პალატამ – სენატმა უნდა განიხილოს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გაგრძელების შესახებ კანონპროექტი პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის ინიციატივაა, რომელსაც მხარი საფრანგეთის მთავრობამ დაუჭირა და განსახილველად პარლამენტს გადაუგზავნა.

14 ნოემბერს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი უშიშროების სამსახურების უფლებების გაფართოებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ოლანდმა წინადადება წამოაყენა, გამარტივდეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის საფრანგეთის პასპორტის ჩამორთმევის პროცედურა, ასევე, უცხოელების ქვეყნიდან გაძევების წესი. ოლანდმა, ასევე, მოითხოვა რადიკალური ისლამის მქადაგებელი მეჩეთების დახურვის უფლება.

„**France 24**“ აღნიშნავს, რომ უსაფრთხოების ზომების ასე გასამკაცრებლად საფრანგეთის კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის შეცვლაა საჭირო. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 2016 წლიდან ქვეყანაში საწვავის კონტროლი შესაძლოა, გამკაცრდეს




ფილტვის კიბო, ასთმა, გულ-სისხლძარღვთა და რესპირატორული დაავადებები, სხვადასხვა სახის ალერგია – ეს იმ დაავადებების არასრული ჩამონათვალია, რომლის წარმოშობასაც ჰაერის დაბინძურება უწყობს ხელს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურება ყოველ წელიწადს 2 მილიონი ადამიანის ნაადრევი სიკვდილის მიზეზი ხდება. ამასთანავე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოში ჰაერის დაბინძურება დაავადებების – 17, ხოლო სიკვდილიანობის 19 პროცენტს იწვევს. დადგენილია ისიც, რომ თბილისში ჰაერის დაბინძურების 95% ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით არის გამოწვეული. სწორედ ამიტომ მომავალი წლიდან შესაძლოა, საქართველოში ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლი გამკაცრდეს. ამ მოთხოვნით მთავრობასა და ფინანსთა სამინისტროს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირმა მიმართა. კავშირის თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი აცხადებს, რომ საწვავის ხარისხი სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გააკონტროლოს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა 2017 წლიდან უნდა გადავიდეს ევრო-5 სტანდარტის საწვავის მოხმარებაზე. თუნდაც ამიტომ, ყველა მეწარმემ უნდა იცოდეს კანონის დარღვევის შემთხვევაში, რა სანქციები გატარდება მის მიმართ.

ვანო მთვრალაშვილი: „ჩვენთან იყიდება როგორც ევროპული სტანდარტის საწვავი, რომელიც წარმოდგენილია „პრემიუმის“, „სუპერისა“ და „ევროდიზელის“ სახით, ასევე, „რეგულარი“, რომელიც ევრო 4-ის სტანდარტისაა. იყიდება დიზელის საწვავიც, რომელიც ჩვენი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. თუმცა, არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სავაჭრო ქსელში იყიდება პროდუქტი, რომელშიც გოგირდის შემცველობა დასაშვებზე მეტი მოცულობისაა და შესაბამისად, ეს არის არასტანდარტული, უხარისხო საწვავი, რომლის გავლენაც ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მკვეთრად უარყოფითია. სწორედ ამიტომ იგეგმება ისეთი ღონისძიებები, რომლითაც გაკონტროლდება უხარისხო პროდუქციის შემოდინება და გასაღება ადგილობრივ ბაზარზე. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ უხარისხო პროდუქტი ქსელში ნამდვილად იყიდება, თუმცა აქვე დავსძენ, რომ ამის მასშტაბები საგანგაშო არ არის. ამიტომაც უნდა მოვახერხოთ პრევენცია, რომ უხარისხო პროდუქტი ბაზარზე აღარ მოხვდეს“. (bpn.ge)

## ჩვენც ზუსტად მაგას ვამბობთ, მისტერ ტონი, მაგრამ გვისმენს ვინმე?!



დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის განცხადებით, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ევროპამ მნიშვნელოვან პარტნიორად უნდა განიხილოს.

როგორც ბლერმა „მოამბესთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს ევროპის ქვეყნებთან მოლაპარაკებები. ყოფილმა პრემიერმა საქართველოს მთავრობის ნაბიჯები ვიზალიბერალიზაციის პროცესთან დაკავშირებით დადებითად შეაფასა.

– ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველომ გააგრძელოს არჩეული გზით სიარული. განსაკუთრებით კი, იმ კუთხით, რომელიც ევროპასთან მოლაპარაკებებს შეეხება. ჩემი აზრით, ეს პროცესი საკმაოდ კარგად მიმდინარეობს. ძალიან კარგია, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესი წინ მიიწევს. ჩემი აზრით, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი საქართველოსთვის და მნიშვნელოვანი სიგნალი თქვენთვის. ამასთანავე, გარკვეული წახალისებაც.

ყველამ იცის, რომ თქვენ ხართ მსოფლიოს ძალიან მნიშვნელოვან და სტრატეგიულ ნაწილში, თქვენზე ძალიან ბევრი ზეწოლაა, მაგრამ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც, ჩემი აზრით, ევროპა უნდა მიუდგეს, როგორც მნიშვნელოვან პარტნიორს. ამიტომ მე ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ საქართველოს და მის მომავალს, – განაცხადა ტონი ბლერმა. (kvira.ge)

# როგორც მოგიყვანეთ, ისე „აგაცმევინებთ“. თქვენ კულტურული ფრაზეოლოგია არ გესმით, ქვეყანა პროვინციული პოლიტიკით იმართება

## გოიმია დავით ნარმანია, განა მისი გეოგრაფიული წარმომავლობის გამო, არამედ მისი მენტალობის გამო

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ქვეყანა, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილიდ ზღვარზეა, ქვეყანა, სადაც არის ტოტალური უმუშევრობა, სოციალურ დაუცველთა რიცხვი დღითი დღე მატულობს და ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბემ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია, თანაც იმ ფონზე, როცა ეროვნული ვალუტის დევალვირება შეუჩერებელი პროცესია, სახელმწიფოს ჩინოვნიკებმა არ იციან, რამდენი აქვთ ხელფასი, უბრალოდ, „არ ინტერესდებიან“ და ასეთი ცინიკური განცხადებები იწვევს ძალიან დიდ აგრესიას... კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე არის იმ უტიფართა შორის, რომელთა ხელფასი, ფაქტობრივად, 8000 ლარამდე აქვს და აგდებული ტონით მხრებს იჩეჩს და ამბობს, რომ არ აინტერესებს მისი სახელფასო შემოსავალი, რომელსაც ხალხი უხდის.

აუდიტის სამსახურის უფროსმა ლაშა თორდიამ გამოაქვეყნა 2015 წლის მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ 9 თვის მონაცემებით პრემიები 31 მილიონი ლარით არის შემცირებული, თუმცა ამ ფონზე სახელფასო დანამატები 45 მილიონით გაიზარდა. გენერალური აუდიტი კვლევის შედეგად ადასტურებს ინფორმაციას, რომ სახელმწიფო სამსახურებში ხელფასები გაიზარდა. საქართველოს მთავრობამ წინა მთავრობის მანკიერი პრაქტიკა შეცვალა და კვაზი მოდელი შექმნა, რასაც ჰქვია დანამატები და დანამატების ხარჯზე გაიზარდა შემოსავლები. მთავრობა მდიდრდება, ხალხი ღატაკდება, ამას კი დასასრული არ უჩანს. რა მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევ შემოსავალს, პრემიას თუ დანამატს? დანამატი მაშინ უნდა გამოიწერო, როცა საქმეს აკეთებ და ეს ხალხს დაეტყობა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დღეს რაც ხელისუფლებაში ხდება, გულისამრევია. ადამიანებს წამლის ფული, ბავშვების გამოკვების ფული არ აქვთ, კომუნალურ გადასახადებს ვერ იხდიან და ამ ფონზე მთავრობა განცხრომაშია, ზოგიერთი კი დაგვცინის, რომ ის არ ინტერესდება საკუთარი ხელფასით... ჰოდა, მივმართავ მთავრობას, როგორც მოგიყვანეთ, ისე „აგაცმევინებთ“. თქვენ კულტურული ფრაზეოლოგია არ გესმით, ქვეყანა პროვინციული პოლიტიკით იმართება და იცით, რა არის პროვინციალიზმი და გოიმობა? როდესაც ხალხისთვის მიუღებელი ხდები, განდევნილი, როცა განვითარების დონე აცდენილია. მაგალითად, ილუსტრაციისთვის გეტყვით, რომ გოიმია დავით ნარმანია, განა მისი გეოგრაფიული წარმომავლობის გამო, არამედ მისი მენტალობის გამო. „გოიმი“ ებრაული სიტყვაა და ნიშნავს – „სხვას“, საკუთარ ჩარჩოში ჩაკეტილს, ჩამორჩენილს, ძველმოდურს, გამოუსვლელს, რომელიც 21-ე საუკუნის გამოწვევებს ვერ პასუხობს. არ იცის, რა არის პრიორიტეტი... უფსკრულია მოსახლეობასა და მერს შორის, არ გამოირჩევა ინოვაციებით, სწრაფი ტემპებით, კომუნიკაბელურობით, აქტიურობით, ამ კაცმა თბილისი ჯუნგლებს დაამსგავსა, სამანქანო გზის კილომეტრიანი საცობებით, გადათხრილი ორმოებით და კიდევ უფრო კვაზი არქიტექტურული ნაგებობებით, ვიდრე ეს წინა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით დაგვიტოვა. გოიმობა და პროვინციალიზმია, როცა თქვენს მიერ შემოთავაზებული საპრეზიდენტო კანდიდატი შანტაჟით აგვარჩევინეთ, თუ მარგველაშვილს ხმას არ მისცემთ, „ნაციონალი“ ბაქრაძე მოვა პრეზიდენტად და ისევ მიხეილ სააკაშვილის ხელში აღმოჩნდებითო და დღეს, როცა მარგველაშვილსა და ივანიშვილს შორის პირადი უთანხმოებაა, რადგან მარგველაშვილი ივანიშვილის დაკრულზე არ ცეკვავს, ჩვენც გვაიძულებთ, იარაღად გამოგვიყენოთ პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის, წინააღმდეგ. მთავრობა თავად არ სცემს პატივს პრეზიდენტის ინსტიტუტს, არ მიდის უშიშროების საბჭოს სხდომაზე, არაკონსტიტუციურ ორგანოს ქმნის კრიზისებისა და მართვის საბჭოს სახით და არსებულ გამოწვევებზე ხელისუფლება არაკოორდინირებულად მუშაობს. მაშინ, როცა ქვეყანა ამხელა ეკონომიკური თუ სოციალური გამოწვევების წინაშე დგას, დღეს თურმე ჩვენი მთავარი სატკივარი უნდა იყოს, პრეზიდენტი მარგველაშვილი სად იჯდება – ავლაბრის თუ ათონელის რეზიდენციაში. ჯერ თქვენ გააკეთეთ თქვენი საქმე, ხალხი სიღატაკიდან გამოიყვანეთ და პრეზიდენტზე მერე ილაპარაკეთ, თქვენზე უარესი ხალხისთვის, მას არაფერი გაუკეთებია...

ის განცხადება, რაც პრემიერმა გააკეთა, რომ ბრიუსელში „ნაცმოძრაობის“ წევრები მოღალატეობრივად იქცევიან, კაბინეტ-კაბინეტ დადიან და ევროსაბჭოს თუ ევროპარლამენტის წევრებს არწმუნებენ, რომ ქვეყანას არ მისცენ ამ ხელისუფლების პირობებში ვიზალიბერალიზაცია, მისი მხრიდან იყო სწორი, თუმცა დაგვიანებული და ნუ გაგიკვირდებათ, ბატონებო, როცა თქვენს შიგნითვე არსებობს შული, დაპირისპირება და ამ დროს მტერი ზურგში დანას გირტყამთ. ბრიუსელიდან დაბრუნებულმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა: ერთადერთი, ვინც ბრიუსელში, ევროპარლამენტში ითხოვდა, რომ საქართველომ უვიზო მიმოსვლა არ მიიღოს, იყვნენ „ნაცმოძრაობის“ წევრები – დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი. ამის შესახებ ჩემს მინისტრებს დაუდასტურეს. მათ „ნაციონალებს“ პირდაპირ უთხრეს, – თქვენ რა, საქართველოს მოქალაქეები არ ხართ?!. რაზეც მათ ბაქრაძისა და კანდელაკისგან მიიღეს პასუხად, – ამ მთავრობის პირობებში არ არის სასურველი, საქართველომ უვიზო მიმოსვლა მიიღოს...“ დიახ, ეს არის მტრობა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე...“

ბაქრაძემ პრემიერის ნათქვამი დააკომენტარა, რას ამბობთ, პირიქით, ძალიან გაგვიხარდება, რაც უფრო მალე მოგვცემენ ვიზალიბერალიზაციას, მაგრამ ამას შეიძლება საფრთხე იმან შეუქმნას, ხელისუფლებას „რუსთავი 2“-ის წართმევა რომ უნდაო. კანდელაკმა კი, რას ამბობთ, პრემიერი იტყუება, მისგან ეს პირველი არ არისო.

ტყუილები არც ერთს არ გაკლიათ, მაგრამ იქნებ, ხელისუფლებამ საკუთარ გუნდს გადახედოთ, ერთმანეთს როგორ ექცევით. ეს ძალიან დამღლელია იმ ფონზე, როცა ისედაც არ გვაქვს მშვიდობა და კარგი ცხოვრების პირობები და არ უნდა გაგიკვირდეთ, ის, რაც ბრიუსელში, ვაშინგტონში თუ სხვაგან ხდება, იმ ფონზე, როცა თქვენ გყავთ გაურკვეველი წარმომავლობის ელჩები. მეტიც, ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის სურათი აქვს კაბინეტში ჩამოკიდებული. ზოგიერთი მათგანი ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატების“ ერთგული რჩება და დასავლეთში მათ სასარგებლო საქმეს აკეთებს. გადახედეთ დიპლომატიურ კორპუსს, შეისწავლეთ მათი საქმიანობა და უფრო ნათელი გახდება, რატომ ბედავს ამდენს „ნაცმოძრაობა“.

**„ალიასთან“ ამ და სხვა საკითხებზე პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი საუბრობს:**

– „ნაცმოძრაობამ“ არჩევნებისთვის მზადება დაიწყო 2012 წლის 2 ოქტომბერს. მას შემდეგ უამრავი ინფორმაცია იქნა გაცემული ამ სუბიექტების მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის მისამართით სხვადასხვა საპარლამენტო თუ სამთავრობო უწყებებში. მათი მთავარი ამოცანა გახლდათ „ოცნების“ ხელისუფლების დისკრედიტაცია და მხოლოდ ნეგატიური მიდგომა არსებული ვითარების მიმართ, დროის გასვლასთან ერთად საფუძველიც მატულობდა. ფაქტია, რომ თუნდაც ვიზალიბერალიზაციის თემა მათთვის იქნებოდა შემაფერხებელი, თუკი ხელისუფლება ამ მიმართულებით შედეგს მიაღწევდა.

**„ნაციონალების“ მავნებლობას გაცილებით ადრე დაესმებოდა წერტილი, პრემიერ-მინისტრს ან მის წინამორბედს თვალი რომ გადაევლო პრესისთვის. სამწუხაროდ, დღევანდელმა პრემიერ-მინისტრმა და მისმა წინამორბედმა არ მიიღეს გადაწყვეტილება, მოეხსნათ პრესისთვის ვეტო, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა დაადო ჩვენს ბეჭდვით მედიას. მათ უნდა მიეცათ საშუალება სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, გამოეწერათ გაზეთები, რათა სახელმწიფო მოხელეებს სცოდნოდათ, რა იცის ჩვენმა საზოგადოებამ. როცა ხელისუფლებამ არ იცის, რა განწყობებია ქვეყანაში და რას ფიქრობს ხალხი და როდესაც ხელმისაწვდომია მათთვის მხოლოდ მაამებლური ინფორმაცია, ეს მათვე აზიანებთ.**

ჩვენ მოვისმინეთ პრემიერ-მინისტრისგან წინასწარი განცხადება, რომ „ნაცმოძრაობა“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ 2015 წელს საქართველომ არ მიიღოს ვიზალიბერალიზაცია. რა შედეგი ექნებათ მათ ასეთ საქციელს საზღვარგარეთ, ამას გავიგებთ 15 დეკემბერს, როცა ვერდიქტი უნდა გამოქვეყნდეს და გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, მოგვცემენ თუ არა ვიზალიბერალიზაციას. 15 დეკემბრამდე დავიცდით, თუმცა ნებისმიერი შედეგის დადგომისთვის გამზადებული აქვს „ნაცმოძრაობას“ ტექსტი. დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ამ წარმატებას მიიწერენ, ხოლო უარყოფითად დასრულების შემთხვევაში, ცხადია, ხელისუფლებას გადააბრალებენ.

**— როგორ ფიქრობთ, მოგვცემენ ვიზალიბერალიზაციას იმ ფონზე, რაც ხდება მსოფლიოში, ვგულისხმობ ტერორის საფრთხეს?**

– მრავალფეროვანია ლიბერალიზაციის ფორმატი, ეს არ ნიშნავს, რომ მინიჭების შემთხვევაში ჩვენ მეორე დღიდანვე დავიწყებთ ევროპაში უვიზოდ მიმოფრენას, ამას სჭირდება დრო. ამ ყველაფერს დასჭირდება შესაბამისი დოკუმენტაციის დახვეწა, გარკვეული პირობების კიდევ შესრულება, ვიზალიბერალიზაცია რომ მოგვანიჭონ, მომავალი წლის შემოდგომამდე უვიზოდ ვერ ვივლით.

**— სახელფასო დანამატებზე ატეხილ აჟიოტაჟს როგორ აფასებთ, ხელისუფლებამ მოიხსნა პრემია, მაგრამ გაიორმაგა დანამატები, „ოცნების“ მთავრობას შლეიფად მოსდევს დაუოკებელი ლტოლვა ფუფუნებისადმი.**

– დანამატების თემა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მიუღებელი. თავი და თავი ამ არაადეკვატური ვითარების გახლავთ თეზისი, რომელიც დღევანდელი პრემიერის „პირადმა პრემიერმა“ უფრო ადრე გამოგვიცხადა, რომ სახელმწიფო მოხელეს უნდა ჰქონდეს მოტივაცია და მას უნდა ჰქონდეს დიდი ხელფასი. მათ არ იციან, რა არის საკადრო პოლიტიკა, რადგან ჯერ კიდევ სანათესაო ჰყავთ დასასაქმებელი. მარტო ეს მანკიერი პრაქტიკა რომ იყოს გადმოღებული „ნაცმოძრაობისგან“, კიდევ შეეგუებოდა ხალხი, მაგრამ ჩამოთვლა იმისა, რითაც დღევანდელი ხელისუფლება სარგებლობს, შორს წაგვიყვანს, სია გრძელია. ის, რაც იყო „ნაცმოძრაობის“ მახასიათებელი, მარტივად გაუყვნენ გაკაფულ გზას, რამაც კრახამდე მიიყვანა „ნაცმოძრაობა“ და პოლიტიკური კამიკაძეების მანტია მოისხეს „ქართული ოცნების“ ლიდერებმა. დიდი ალბათობით, როგორც გემის ჩაძირვისას ხდება ხოლმე, გემბანიდან გადახტომას დაიწყებენ კოალიციის წევრები. მაგრამ თუ არავის ძალუძს დამოუკიდებელი არსებობა პოლიტიკურ სივრცეში, მაშინ პოლიტიკური პანაშვიდი ყველასთვის ერთ დღეს შედგება.

**— ფიქრობთ, რომ ხელისუფლება 2016 წლის არჩევნებამდე მშვიდად მივა? „პატრიოტთა ალიანსი“ ხომ არ იქნება ინსპირატორი პერმანენტული საპროტესტო აქციების დაწყებისა?**

– ჩემთვის აღარ არის კითხვის ნიშნის თემა, როგორი არჩევნების ჩატარების უნარი აქვს მმართველ ხელისუფლებას, ის, რაც ჩვენ შუალედური არჩევნების დროს ვიხილეთ საგარეჯოში, რა ადმინისტრაციული რესურსი იქნა ამაში ჩადებული. რასაკვირველია, ეს ფაქტები გვარწმუნებს იმაში, რომ სხვაგვარად არჩევნების ჩატარება არ ძალუძს ჩვენს „მეოცნებეებს“. მე ძალიან კარგად მახსოვს ჩემი თანამოაზრე, რომელიც დღეს პარლამენტშია, რა მკაცრი შეფასებებით გამოვდიოდით „ნაციონალური მოძრაობის“ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წინააღმდეგ სხვადასხვა არჩევნებში. დღეს უკვე სრულიად გამაოგნებელია ის, რომ ზოგიერთი აქტიური დეპუტატი საუბრობს კატეგორიულ ტონალობაში, რომ საგარეჯოს შუალედურ არჩევნებზე მათ არ გამოუყენებიათ ადმინისტრაციული რესურსი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, შეურაცხყოფა ჩვენი მთავრობისთვის. ჩვენ ვნახეთ, რომ მთელი მთავრობა იყო მობილიზებული საგარეჯოში და გვიმტკიცებენ, რომ ეს არ არის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნულოვანი გავლენა აქვს ჩვენს მთავრობას თურმე მოსახლეობაზე. ისინი გინდ ყოფილან, გინდ – არა.



**მაშინ, როცა ქვეყანა ამხელა ეკონომიკური თუ სოციალური გამოწვევების წინაშე დგას, დღეს თურმე ჩვენი მთავარი სატკივარი უნდა იყოს, პრეზიდენტი მარგველაშვილი სად იჯდება – ავლაბრის თუ ათონელის რეზიდენციაში. ჯერ თქვენ გააკეთეთ თქვენი საქმე, ხალხი სიღატაკიდან გამოიყვანეთ და პრეზიდენტზე მერე ილაპარაკეთ, თქვენზე უარესი ხალხისთვის, მას არაფერი გაუკეთებია...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თავდასხმა „Russia Today“-ს ოფისზე – 2 გარდაცვლილი



2 ადამიანი დაიღუპა თელავივში „**Russia Today**“-ს ოფისზე უცნობი მამაკაცის თავდასხმის შედეგად. ინფორმაციასა და ფოტომასალას ამის შესახებ, ტელეარხის ბიუროს ხელმძღვანელი პაულა სლიერი მიკრობლოგ „ტვიტერზე“ ავრცელებს.

უცნობი მამაკაცი რედაქციას დანით შეიარაღებული დაესხა თავს, თუმცა გარდაცვლილთაგან არხის თანამშრომელი არც ერთი არ არის. ისინი, სავარაუდოდ, იქვე მდებარე შენობაში, სხვა ოფისში იმყოფებოდნენ. (პირველი რადიო)

## The Wall Street Journal: „პარიზის ტერაქტების შემდეგ მოსკოვი დასავლეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს, მაგრამ სანქციები მაინც გახანგრძლივდება“



**The Wall Street Journal**-ის ინფორმაციით, ევროკავშირი და აშშ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს გაახანგრძლივებენ.

მიუხედავად იმისა, რომ პარიზის ტერაქტების შემდეგ მოსკოვი დასავლეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს, აღნიშნულ საკითხზე დეკემბერში, ევროკავშირის სამიტზე იქნება საუბარი. გამოცემის ინფორმაციით, განიხილება რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის სანქციების 3-4 თვით, 6 თვით ან 1 წლით გახანგრძლივება. გამოცემასთან საუბარში ანონიმური ევროპელი დიპლომატი აცხადებს, რომ უკრაინის საკითხზე აშშ-ისა და ევროპის პოზიციის შეცვლა ზიანის მომტანი იქნებოდა არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ ევროპისთვის. ბრიუსელი და ვაშინგტონი თანხმდებიან, რომ რუსეთზე ეკონომიკური ზეწოლა მინსკის შეთანხმებების შესრულებამდე უნდა გაგრძელდეს. (პირველი რადიო)

# „საქართველოში შეგიძლია ილაპარაკო სისულელეები, მაინც ყველას დაავიწყდება“ — მანკიერებები, რომლებსაც ქართველი პოლიტიკოსები პოპულარობისთვის იყენებენ



არსად წერია ზუსტი კრიტერიუმები, როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი, თუმცა დასავლური გამოცდილებიდან გამომდინარე, პოლიტოლოგები და შესაბამისი სფეროს სპეციალისტები ცდილობენ, ჩამოაყალიბონ ის კრიტერიუმები, რაც პოლიტიკოსს, ამ შემთხვევაში კი – ქართველ პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს. სპეციალისტთა ნაწილის აზრით, ის უნარები, რაც აუცილებელია, რომ პოლიტიკოსს ჰქონდეს, ქართველ პოლიტიკოსებს არ გააჩნიათ.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელის თორნიკე შარაშენიძის თქმით, საქართველოში პოლიტიკოსი რომ იყო, მხოლოდ ორი თვისება – ქარიზმა და პოპულიზმია საჭირო.

– სამწუხაროდ, ჩვენთან დღეს ეს უნარებია საჭირო, თუმცა ნამდვილად არ არის საჭირო სხვა ქვეყნებში. ქართველმა პოლიტიკოსებმა იციან ცილისწამება. რეალურად, პოლიტიკოსები საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნილებებს ასახავენ.

ჩვენს საზოგადოებას ერთი ცუდი თვისება აქვს – ძალიან მალე ავიწყდებათ ხოლმე რაღაცები; სიტყვაზე, ერთი პოლიტიკოსი იტყვის აბსოლუტურ სისულელეს, მეორე დღეს ავიწყდებათ და პატიობენ ხოლმე. საქართველოში შეგიძლია ილაპარაკო სისულელეები, მაინც ყველას დაავიწყდება, – ამბობს შარაშენიძე.

კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანის სერგი კაპანაძის თქმით, ქართველი პოლიტიკოსები პოპულარობისთვის შემდეგ მეთოდებს იყენებენ:

– მათი აზრით, დებატებში მოწინააღმდეგეს თუ ვაჯობებთ, ეს უკვე კარგია. ისინი ხალხზე ზეგავლენას პოპულისტურ ენაზე საუბრითა და საკუთარი სიძლიერისა და წარმატების ხაზგასმით ცდილობენ.

სინამდვილეში, პოლიტიკოსი ხალხს კონკრეტულ პლატფორმასა და იდეებს უნდა სთავაზობდეს და მათი განხორციელების გზებს აცნობდეს. მე თუ გეტყვით, რომ გაგინახევრებთ ბენზინის ფასს, ამით ყველაფერი დამთავრდა, როგორ გავანახევრებ, არავის აინტერესებს, მორჩა, დამთავრდა... დაპირებების განხორციელების გზები, როგორც წესი, ჩვენთან არ ითქმის ხოლმე, ჩვენთან მხოლოდ დაპირებები იციან, – ამბობს სპეციალისტი.

მისი თქმით, იმისთვის, რომ დღეს ქართველ საზოგადოებაში პოლიტიკოსმა ხალხის სიმპათია და მხარდაჭერა დაიმსახუროს, სამ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

– ან ბევრი ფული უნდა გქონდეს ნაშოვნი, ან უნდა იყო ქარიზმატული, ან წარმატებას უნდა მიაღწიო პოლიტიკაში შენი ქვეყნის გარეთ, ანუ სამი მაგალითი – შევარდნაძემ მიაღწია წარმატებას პოლიტიკაში თავისი ქვეყნის გარეთ, სააკაშვილი იყო ძალიან ქარიზმატული და ივანიშვილმა იშოვა ბევრი ფული.

მთავარი, რაც პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს, არის ღირებულებები. არ უნდა იყვნენ პრაგმატული ცინიკოსები, რომელსაც ღირებულებები არ აქვს და მზად არიან, ყველა სიტუაციაში ყველაფერს მოერგონ, უნდა იყოს წითელი ხაზები – ღირებულებები, რომელიც მათ აქვთ და რომელსაც არ უნდა გადასცდნენ, – ამბობს სერგი კაპანაძე.

მისი თქმით, კიდევ ერთი უნარი, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს უნდა ჰქონდეთ და არ აქვთ, არის მოქნილობა, კერძოდ, კომპრომისზე წასვლა, როცა შესაძლებელია, ყველა მხარე იყოს გამარჯვებული და არა მხოლოდ რომელიმე:

– მოგება-წაგების მენტალიტეტი, როგორც წესი, დათვურ სამსახურს უწევს ხოლმე ქართველ პოლიტიკოსებს. ამას გარდა, ბევრ პოლიტიკოსს არ აქვს არც ქვეყნის განვითარების და არც თავისი კონკრეტული პოლიტიკური მომავლის ხედვა. ცალკე მინდა ხაზი გავუსვა განათლებას, აქ მხოლოდ დიპლომის ქონა-არქონა არ იგულისხმება. ვგულისხმობ ზოგად განათლებას, იმ მარტივი უნარების ცოდნას, როგორიც არის ზოგადი უნარები, უცხო ენები, თანამედროვე ტექნოლოგიის ცოდნა და ა.შ. სამწუხაროდ, დღევანდელი პარლამენტი სერიოზულად მოიკოჭლებს ჩემს მიერ ჩამოთვლილი უნარების ქონის კუთხით, განსაკუთრებით სახელისუფლებო ძალა.

**— თქვენი აზრით, რომელია ის მანკიერებები, რასაც ქართველი პოლიტიკოსები პოპულარობისთვის იყენებენ?**

– ისინი ყველაფერზე წამსვლელები არიან. მარტივი ანგარებიდან გამომდინარე ბევრს არც ღირებულებები აქვს. ხშირად მოკლევადიანი გამოთვლებიდან გამომდინარე მოქმედებენ, რაც, საერთო ჯამში, მათაც აზიანებს და ქვეყანასაც. ყველაზე დიდი პრობლემა რაც აქვთ, არის ის, რომ არ გააჩნიათ მომავლის ხედვა, ხშირად მათი ხედვა არის მხოლო და მხოლოდ ის, რომ როგორმე შეინარჩუნონ სკამი და ამისთვის მზად არიან მარტო წარსულზე ილაპარაკონ იმ ერთადერთი მოტივით, რომ არაფერი მომავალზე სალაპარაკო არ აქვთ. როცა ადამიანს სალაპარაკო არ აქვს, მას ურჩევნია, ვიღაცას რაღაც დააბრალოს და ისაუბროს ამ ადამიანზე, როგორი ცუდი იყო ადრე, სამწუხაროდ, ეს ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია.

**— რომელია ის პროფესიები, რომელიც ადამიანს გამოუმუშავებს უნარებს, რომ კარგ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდეს?**

– ეს არ არის მხოლოდ საჯარო სამსახურის მართვა, ან მარტო საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტოლოგია. ზოგადად, უმაღლესი განათლება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, კარგი პოლიტიკოსი შეიძლება გახდეს ისტორიკოსიც და იურისტიც, ანუ მარტო ამ სფეროში მიღებული განათლება არ არსებობს და არც კმარა.

**— შევადაროთ ქართველი პოლიტიკოსები დასავლელ პოლიტიკოსებს...**

– ერთადერთი მთავარი განმასხვავებელი, რაც ჩვენთან ქართველ პოლიტიკოსებს აკლიათ, არის ის, რომ არ იციან განსხვავება პოლიტიკოსსა და საჯარო მოხელეს შორის. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა ქვეყანაში. არ ესმით ის განსხვავება, რომ, თუ შენ ხარ პოლიტიკოსი, შენი მთავარი ამოცანაა პოლიტიკური თანამდებობა, იბრძოლო ძალაუფლებისთვის, მაგრამ არ უნდა გქონდეს პრეტენზია საჯარო მართვის ინსტიტუტებში ყოფნაზე, იგივე სამინისტროებში. ეს უკვე აღრევაა.

ბევრი პოლიტიკით მიდის საჯარო მმართველობაში და მერე ავიწყდებათ, რომ ისინი პოლიტიკიდან მოვიდნენ და აპოლიტიკურ თანამდებობაზე უნდათ ხოლმე დარჩენა. ხდება პირიქითაც, როცა საჯარო მმართველობიდან პოლიტიკურ თანამდებობას იკავებენ და არ აქვთ იმის გაგება და აღქმა, რომ ისინი ნამდვილად პოლიტიკოსები გახდნენ.

დასავლეთში მკვეთრად არის გამიჯნული თანამდებობები, რომელიც პოლიტიკური თანამდებობებია და არის კარიერული თანამდებობები, არანაირი კავშირი ამ უკანასკნელს პოლიტიკასთან არ აქვს და მათ შორის კადრების შერევა არ ხდება ხოლმე, ამიტომ სისტემები არის ძალიან სტაბილური, იცვლება ზედა ნაწილი, ანუ ძალაუფლების წყარო, მაგრამ არ იცვლება საჯარო სეგმენტი. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მორიგი გატაცება გორის სოფლიდან — ოკუპანტებმა მამა-შვილი გაიტაცეს



საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერედან მამა-შვილი ელიკაშვილები გაიტაცეს. ადგილობრივების ინფორმაციით, მამა-შვილი სოფლის ტერიტორიაზე მსხვილფეხა პირუტყვს მწყემსავდა, რა დროსაც მათთან შეიარაღებული პირები მივიდნენ და ორივე დააკავეს. (ნიუპოსტი)

## პარიზის თავდასხმის მონაწილე ტერორისტები ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ?



ფრანგული მედიის ინფორმაციით, რამდენიმე ფაქტორი არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ ტერორისტები, რომლებმაც პარიზში თავდასხმები განახორციელეს, ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ იყვნენ.

ამის გასარკვევად მოკლული ტერორისტების ცხედრებს ტოქსიკოლოგიური ანალიზი უტარდებათ. გარდა იმ ფაქტორისა, რომ ტერორისტებმა ადამიანები ყოველგვარი ემოციების გარეშე დახოცეს, ასევე, ძიების დროს სახლში, რომელსაც ტერორისტი სალაჰ აბდესლამი ქირაობდა, აღმოჩენილია „შპრიცები“, რომელიც ამ დროისთვის ექსპერტიზაზეა გადატანილი.

ნარკოტიკის მოხმარება ჯიჰადისტების რელიგიის მიხედვით იკრძალება, თუმცა ჯიჰადისტები გარკვეულ მედიკამენტებს მაინც მოიხმარენ, როგორც ფრანგული მედია წერს, კაპტაგონი, რომელსაც ისინი იღებენ, ძილისა და შიმშილის გრძნობასთან გამკლავებაში და შიშის დაძლევაში ეხმარება. ნივთიერების ეფექტი 48 საათის განმავლობაში გრძელდება.

ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი მტკიცებულება იმისა, რომ პარიზის ტერაქტის მონაწილეები ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ტერორისტი ძმები აბდესლამები, სხვა დანაშაულებთან ერთად, ნარკოტიკის გასაღებაშიც იყვნენ შემჩნეულნი. (ნიუპოსტი)

# პრემიერმა ლარის კურსი მიივიწყა — ხმას აღარ იღებს; საწვავის ფასი მიივიწყა — ამაზეც აღარ იღებს ხმას... თუ მაშინ ლარს ხელოვნურად აუფასურებდნენ და საწვავის ფასები კარტელური იყო, შეიცვალა რამე? არც არაფერი

## ნავთობის ფასი 43 დოლარამდე დაეცა — როდის გახდება საწვავი 1,40 ლარი?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61





19 ნოემბერს, აგვისტოს შემდეგ პირველად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი 40 დოლარს ქვევით ჩამოვიდა. „ბლუმბერგის“ ცნობით, ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე **WTI**-ის ნავთობი 0,54 დოლარით დაეცა და ბარელზე 39,91 დოლარი შეადგინა, ხოლო 0,11 დოლარით შემცირდა „ბრენტის“ მარკის ნავთობის ფასი, რომელმაც ბარელზე 43,46 დოლარი შეადგინა. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემებით, ნავთობის მსოფლიო მარაგმა თითქმის 3 მილიარდ ბარელს მიაღწია. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მსოფლიო ნავთობის ბაზარი უკვე შოკშია. თუმცა ამ ფონზე ნავთობკომპანიებისთვის ქართული ბაზარი ია-ვარდითაა მოფენილი და მათი მუთაქები ყოველდღიურად ივსება.

„ალია“ ამ თემაზე მუდმივად წერდა, შემდეგ თითქოს პრემიერ-მინისტრიც დაგვიდგა მხარში, კონკურენციის სააგენტოსაც დაავალა, აქ რაღაც საეჭვო გარიგებები იკვეთება, გამოიძიეთ, ყველაფერი გაარკვიეთო. გამოიძიეს, ყველაფერი გაარკვიეს, დაადგინეს, რომ საქმე კარტელურ გარიგებებთან გვქონდა და „აკრეს“ კიდეც ნავთობკომპანიებს 55 მილიონი ლარი ჯარიმა, მაგრამ ჩვენ რა ხეირი? ნავთობკომპანიების მესვეურებმა ჯერ განცხადება გააშანშალეს, როგორ გეკადრებათ, ჩვენ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზები ვართ, დღე და ღამე ხალხზე ვფიქრობთო, შემდეგ კი სასამართლოში აფრინეს სარჩელი, ტყუილად დაგვაჯარიმესო. როგორც ჩანს, სასამართლოში საქმე თაროზე შემოდეს და ამით დამთავრდა ყველაფერი, რადგან მენავთობეების საქმეზე ჩამიჩუმი არ ისმის, ერთი ინფორმაცია არ გავრცელებულა, რომ საქმეების განხილვა დაიწყო, ქარავანი კი ისევ თავისი გზით მიდის, ოღონდ ამ ქარავანს უბრალო კურკლი კი არა, ოქროს უზალთუნები გასდის ერთი ადგილიდან მენავთობეების სასარგებლოდ.

სპეციალისტების მტკიცებით, 2016 წლიდან, ნავთობის ბაზარზე ირანის დაბრუნება ფასების კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს, მაგრამ, ალბათ, ქართულ ბაზარზე მაინც არაფერი შეიცვლება. როგორც ანალიტიკოსი ბექა კემულარია ამბობს, ჩვენთან ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი საწვავის საშუალო ფასი ასეთია: სუპერი 2,07-2,10 ლარი ღირს; პრემიუმი – 1,99-2,05 ლარი; რეგულარი – 1,83-1,98 ლარი, ხოლო არაბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი საწვავის ფასი 25-30 თეთრით ნაკლებია. კი, ბატონო, კონკურენციის სააგენტომ დააჯარიმა 5 ყველაზე მსხვილი კომპანია საქართველოში, ისინი ფასებს შეთანხმებულად აწესებენო. აქედან გამომდინარე, ნავთობის გაიაფება-არგაიაფება პირდაპირ არ აისახება ჩვენთან არსებულ საცალო ფასზე, რადგან ეს კომპანიების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რადგან როდის დასრულდება ეს სასამართლო, არავინ იცის“.

კარტელურ გარიგებებში მონაწილეობის ბრალდება „სოკარ ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს, მაჰირ მამედოვს სასაცილოდ ეჩვენება და ფიქრობს, რომ კონკურენციის სააგენტო ვილაცის დაკვეთას ასრულებს. მამედოვს ენის წვერზე ადგას დამკვეთის სახელი, მაგრამ დაკონკრეტებას ვერ ბედავს (ირაკლი ღარიბაშვილმა დაავალა სააგენტოს ხელმძღვანელობას, სასწრაფო წესით იმოქმედეთო). იგივე მამედოვი აცხადებს, ჩვენ მსოფლიოს უძლიერესი იურიდიული და აუდიტორული კომპანიები მოვიწვიეთ, ვიმედოვნებთ, სასამართლო გადაწყვეტილებას ჩვენს სასარგებლოდ მიიღებსო. თუ სასამართლომ ესენი გაამართლა, გამოდის, ცილისმწამებელია პრემიერ-მინისტრიც, კონკურენციის სააგენტოც და ცილისმწამებელია ხალხიც, რადგან ვერ გაუგია, როცა ნავთობის ბაზარზე ფასები ეცემა, ჩვენთან მაინც ძვირად რატომ იყიდება „კალონკებზეო“ და ხელს „ზემოთ“ იშვერენ – მაშინ სააკაშვილის ჯიბეში მიდიოდა ვიცოდით, ახლა იგივე მამაძაღლობა მიდის და მთავრობიდან წილში ვინ უზის „მებენზინეებს“, დაზუსტებით ისიც ვერ გაგვიგიაო.

თუ ნავთობის ფასების დინამიკას გადავხედავთ, მერწმუნეთ, ჩვენი ფასების შემხედვარე, აუცილებლად დავიბნევით – მაგალითად, 2008 წელს 1 ბარელი ღირდა 61 დოლარი. „კალონკებზე“ ფასები გამოიყურებოდა ასე: სუპერი – 1,95 ლარი; პრემიუმი – 1,85; ევრო რეგულარი – 1,75; რეგულარი – 1,65. სადღაც 1 კვირაში ბარელის ფასი 64 დოლარი დაფიქსირდა, ჩვენთანაც დაიწყო ფასების ზრდა 7-10 თეთრით. ამ პერიოდში ექსპერტები ამბობდნენ, რომ საქართველოში, ყველა გათვლებით, 1 ლიტრი ბენზინის ფასი საშუალოდ უნდა ყოფილიყო 1,25-130 ლარი. ჩვენ ახლა გთავაზობთ ფოტოს, სადაც დაფიქსირებულია 2008 წლის ფასები, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ბარელი ნავთობი მერყეობდა 65-70 დოლარის ფარგლებში. ნახეთ, ჩვენ 7 წლის შემდეგ თითქმის იგივე ფასები გვაქვს. ეს მაშინ, როცა 1 ბარელი 39-43 დოლარი ღირს.

წესით, მაშინდელ ფასები დღეს უნდა იყოს თითქმის განახევრებული. არადა, პირიქით ხდება, ჩვენში ზრდის ტენდენციაა, ოღონდ ხანდახან გვეთამაშებიან 5-7 თეთრით, ხან აკლებენ, ხან უმატებენ. ცნობისთვის: 2006-2007 წლებში 147 დოლარიდან დაიწყო მკვეთრი ვარდნა და 2008 წლის ოქტომბერში უკვე 60 დოლარი იყო. ჩვენში ბენზინი 2,15-დან ჩამოვარდა 1,75-1,80-მდე. ალბათ, კარგად ხედავთ სხვაობას 147-სა და 60-ს შორის, ხომ? საქართველოში ამას მოჰყვა მხოლოდ 35-თეთრიანი შემცირება. ახლა კიდევ გავიმეორო, რაც ხდება დღეს?

თუკი 2008 წელს 61 დოლარიანი ნავთობის შემთხვევაში საწვავი, მაგალითად „პრემიუმი“ ღირდა 1,85 ლარი, წესით და „მებენზინეების“ დადგენილი ფასწარმოქმნით, ძალიან მალე, როცა საწვავის ახალ პარტიას შემოიტანენ, მისი ფასი საშუალოდ 25%-ით, ანუ დაახლოებით 46 თეთრით იაფი უნდა ღირდეს – დაახლოებით 1,40 ლარის ფარგლებში. ამათ იმედად მტერი იყოს, მაგრამ ვნახოთ, მერე როგორ გაიმართლებენ თავს.

როგორც ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ჩვენთან საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ სიტყვის დონეზეა და ამიტომ არც ეს უნდა გაგვიკვირდეს:

„ჩვენში მონოპოლიური ჯგუფები თავს გრძნობენ შესანიშნავად. ამ ჯგუფების წევრები უკვე ისტორიულად, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში შერწყმულნი არიან ხელისუფლებებთან და მათ აქვთ ზემოგებები, არანორმალური მოგებები. ამას ხელისუფლება, ბუნებრივია, ვერაფერს უხერხებს. რა თქმა უნდა, ასეთ დროს აზერბაიჯანული კომპანიის ხელმძღვანელი ილაპარაკებს არაკორექტულად, ვინ დაუშლის?

კონკურენციის სააგენტოს დაკვეთების მიცემა არ სჭირდება, მას ეს კანონით ევალება. ახლა სასამართლოშია საქმე და საეჭვოა, რომ ხელისუფლებამ ეს საქმე მოიგოს. როგორც ვხედავ, იგივე ხელისუფლებაში ბევრს არც აწყობს, რომ კონკურენციის სააგენტო გამარჯვებული გამოვიდეს. თუ მთავრობამ ეს საქმეც წააგო, ქვეყანაში კონკურენცია დასრულებულად უნდა ჩავთვალოთ, ანუ უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლება და ოლიგარქია ერთად მშვენივრად ძოვენ და ქვეყანას ძარცვავენ. რაც ხდება ნავთობის ბაზარზე და რაც ხდება ფარმაცევტულ ბაზარზე, არის განუკითხაობისა და პირადი ინტერესების შედეგი, ამას უკვე ჰქვია ხალხის ლეგალიზებული ძარცვა. რაკი პრემიერ-მინისტრმა კონკურენციის სააგენტო შექმნა და საქმის გამოკვლევაც დაავალა, ალბათ, არ მოიაზრება მძარცველთა რიგებში, მაგრამ აქ თავს იჩენს სისუსტე. გამოდის, მან ჯერჯერობით ვერ აჯობა ყაჩაღებს და აჯობებს თუ არა, ესეც გაურკვეველია“.

ბოლო-ბოლო, რა ხდება? პრემიერმა ლარის კურსი მიივიწყა – ხმას აღარ იღებს; საწვავის ფასი მიივიწყა – ამაზეც აღარ იღებს ხმას... თუ მაშინ ლარს ხელოვნურად აუფასურებდნენ და საწვავის ფასები კარტელური იყო, შეიცვალა რამე? არც არაფერი. ჰო და, აი ამათ რომ მურაბასავით ერგებათ მილიონები, აღარ დაიწყოთ ლაპარაკი თავისუფალ ბიზნესგარემოზე და გადასახადების გადახდაზე...



**„რაკი პრემიერ-მინისტრმა კონკურენციის სააგენტო შექმნა და საქმის გამოკვლევაც დაავალა, ალბათ, არ მოიაზრება მძარცველთა რიგებში, მაგრამ აქ თავს იჩენს სისუსტე. გამოდის, მან ჯერჯერობით ვერ აჯობა ყაჩაღებს და აჯობებს თუ არა, ესეც გაურკვეველია“**

**საწვავის ფასი**

04.11.2008 აგს

| | |
|---|---|
| სუპერი | 1. 80 |
| პრემიუმავანგარდი | 1. 70 |
| ევრორეგულარი | 1. 60 |
| ევროდიზელი | 1. 95 |
| რეგულარი | 1. 45 |

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აპირებს თუ არა კახი კალაძე პრემიერმინისტრობას — ვიცე-პრემიერის პირველი კომენტარი




– დღეს ქვეყანას ჰყავს პრემიერ-მინისტრი, ახალგაზრდა პიროვნება. ლიდერი პარტია „ქართული ოცნების“, კოალიციის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი. ვფიქრობ, ის წარმატებული პრემიერ-მინისტრია. ახალგაზრდა კაცია და ჩვენ, მთლიანად მთელი გუნდი, მაქსიმალურ თანადგომას ვუცხადებთ. ძალიან ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ, ბევრი რეფორმა მიმდინარეობს ქვეყანაში. თუმცა, სამომავლოდ ვინ იქნება ლიდერი, ვინ იქნება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ამაზე გუნდი იმსჯელებს. ჯერ ძალიან ბევრი დროა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე. დაველოდოთ მოვლენებს.

წინასწარ რაიმე კონკრეტიკაზე გამიჭირდება საუბარი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მზად ვარ, კარისკაცადაც დავდგე, თუ ეს ჩემს გუნდს, ჩემს ქვეყანას დასჭირდება, – აცხადებს კახა კალაძე. (გურია ნიუსი)

## რატომ სცემთ სასწრაფოების მძღოლებს, ერევით, არა?!



როგორც თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნათია გედენიძე განმარტავს, მამაკაცის გაღიზიანება ქვემო ფონიჭალის მისამართზე გამოძახებული ბრიგადის დაგვიანებამ გამოიწვია. გედენიძე აღნიშნავს, რომ მედიკოსები პაციენტთან გამოძახებიდან 17 წუთში მივიდნენ.

– მამაკაცმა მძღოლს თავდაპირველად სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი. სწორედ ამ ყოველივეს შემდეგ ამოიღო ჯიბიდან გაურკვეველი სახის ნივთიერება და მძღოლს სახეში შეასხა. მძღოლმა ინტოქსიკაცია მიიღო. მას სამედიცინო დახმარება სასწრაფოს ექიმებმა ადგილზე აღმოუჩინეს. მედიკოსები პაციენტთან ვეღარ მივიდნენ, – განაცხადა გედენიძემ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდარზე საქმე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 166-ე მუხლით არის აღძრული, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს. სამართალდამცველებმა ერთი პირი ადგილზე დააკავეს. (კვირა.გე)

**რამდენჯერ დაუწერია „ალია“-„ქრონიკას“, რამდენჯერ უთხოვია მოსახლეობას, რომ არ არის საკმარისი სასწრაფო მანქანების რაოდენობა?! შედეგი კი ის არის, რომ ლამის ყოველთვე ერთ მძღოლს მაინც სცემს დახმარების მომლოდინე ხალხი.**

## „ბრძენქალა გუგული მაღრაძე, 100 კოლოფი ასანთი დაგავიწყდა, მადლიანო“



პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი საკუთარ „ფეისბუკ“-გვერდზე უმრავლესობის წევრ გუგული მაღრაძის განცხადებას ეხმაურება:

– ბრძენქალა გუგული მაღრაძემ 10 ლარი ჩემთვის არაფერი, მაგრამ პენსიონერისთვის იცით, რამხელა მადლიაო? 10 პურის, 4 ქილა ზეთისა და კიდე რაღაცებისო...

100 კოლოფი ასანთი დაგავიწყდა, მადლიანო!

ეს ის გუგულა არ არის, 2000-ლარიან სამსახურში თავმოყვარე კაცი არ წავაო, ამაყად რო გვამცნო???

არა, რა! ესენი კი არ უნდა დაიჭირო, აი, ამ ათლარდამატებულ პენსიაზე უნდა დასვა და ნელ-ნელა ამოხადო სული ამ კაციჭამიებს!!!

FUCK!!! (marshalpress.ge)

## ქობულეთის სასტუმროს ტრაგედია — დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის მაისში, ქობულეთის ერთ-ერთ სასტუმროში გაჩენილი ხანძრის გამომწვევი მიზეზები დაადგინა, რომელმაც სამი მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა და დამნაშავე პირი დააკავა.

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამართველოს თანამშრომლებმა 1966 წელს დაბადებული ზაზა ა. სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

2015 წლის 10 მაისს, გამთენიისას, ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე, ზაზა ა-ს. კუთვნილ, ე.წ. „ხასანას“ სასტუმროში ხანძარი გაჩნდა. ამ დროს სასტუმროში იმყოფებოდნენ რუსთავის ქორეოგრაფიული ანსამბლ „სიხარული 2“-ის წევრები, მათ შორის, არასრულწლოვნები, რომელთაგანაც 3 ადგილზე დაიღუპა.

საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში დაინიშნა სხვადასხვა სახის კომპლექსური ექსპერტიზა. საინჟინრო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ სასტუმროში დარღვეული იყო სამშენებლო ნორმები და წესები, ხოლო სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ხანძრის გაჩენა დაკავშირებული იყო ელექტროტექნიკურ გაუმართაობასთან. აღსანიშნავია, რომ ცეცხლის კერა მდებარეობდა იმ ოთახში, სადაც გარდაცვლილი მოზარდები იმყოფებოდნენ.

გამოძიება სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). (marshalpress.ge)



# რა თანხებს საჭიროებს თბილისში უბნის მაღაზიის გახსნა და რა მოგება მოაქვს მას

საქართველოში უბნის მაღაზიებიდან მიღებული შემოსავალი წლებია, ოჯახის რჩენის ერთ-ერთ აპრობირებულ საშუალებად ითვლება. ამ ტიპის მაღაზიის გახსნა მარტივია, შედარებით მცირე დანახარჯებს მოითხოვს, თუმცა, შესაბამისად, როგორც თავად მაღაზიის მფლობელები აღნიშნავენ, ნაკლებად მომგებიანიცაა.

დღევანდელ დღეს, როცა მსხვილი სუპერმარკეტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, უბნის მაღაზიები მათ ჩრდილქვეშ, მაგრამ მაინც მუშაობენ. რა საწყისი კაპიტალია საჭირო ამ ტიპის მაღაზიის გასახსნელად, რამდენად შემოსავლიანია, რა უნდა გაითვალისწინოს გამოუცდელმა ადამიანმა, როცა უბნის მაღაზიის გახსნას გადაწყვეტს. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე პასუხების მიღებას თავად მაღაზიის მფლობელებისგან და მენეჯერებისგან შევეცადეთ.

ხვიჩა ჯანჯალაშვილი პარტნიორთან ერთად 8 წელია სანზონაში მდებარე ერთ-ერთი უბნის მაღაზიის მფლობელია. მისი თქმით, ამ ტიპის მაღაზიის შემოსავალი ბუნებრივადაა მიბმული ადგილობრივების ფინანსურ შესაძლებლობებზე.

„ყველაფერი ერთმნიშვნელოვნად აისახება მაღაზიის მოგებაზე. ჩათვალეთ, რომ უბნის პრობლემები თქვენს ზურგზე გადადის. ვიღაცის ხელფასს აგვიანდება, ვიღაცას საზღვარგარეთ მცხოვრები ახლობელი ფულს ველარ უგზავნის. ყველა ფაქტორი – დადებითი თუ უარყოფითი შესაბამისად მოქმედებს ამ ბიზნესზე, რადგან ძალიან სწრაფად რეაგირებს იმპულსებზე“.

რაც შეეხება საწყის კაპიტალს, მაღაზიის მეპატრონე ამბობს, რომ წლების წინათ მის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, დღევანდელ დღეს დაახლოებით 35-40 ათასი ლარის ტოლფასი იქნებოდა. მისი თქმით, ყველაზე რთული პირველი 3 წელია, ამ დროს ხდება ერთგვარი შეგუება მომხმარებელსა და მაღაზიის მფლობელს, მომსახურე პერსონალს შორის.

– უბნის მაღაზიის კარგად მუშაობისთვის ტერიტორიას აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა, ხალხმრავალ ადგილს, თავისთავად უფრო ძვირად აქირავებენ და ყიდიან მფლობელები, მეორე გასათვალისწინებელი მომენტია გარშემო მდებარე სხვადასხვა დანიშნულების მქონე კომერციული ფართების რაოდენობა. თუ ირგვლივ ასეთი პუნქტი ბევრია, ეს თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. როცა უბნის მაღაზიის გახსნაზე ფიქრს ვიწყებთ, მსგავსი გათვლები აუცილებლად უნდა გავაკეთოთ.

სულ წინსვლაზე უნდა იფიქრო და ერთ ადგილას არასოდეს არ უნდა გაჩერდე. უნდა აღვნიშნო, რომ უბნის მაღაზიის მოგება დაბალ პროცენტზეა გათვლილი, ყველაზე ბევრი 15 პროცენტი, ყველაზე მცირე კი 8-დან 10 პროცენტამდეა. მაღაზია ხშირად ნისიებზეც მუშაობს, დასაწყისში ეს აზარალებს მცირე ბიზნესს, მაგრამ მომავალში, როცა უკვე იცი, ვინ როგორი გადამხდელია, ვის უნდა ენდო და ვის არა, ნისია ხშირად ერთადერთი ჯაჭვია, რაც ასეთ მაღალკონკურენტულ გარემოში, მომხმარებელს აკავებს. მაღაზია სულ ითხოვს ფულს და ყურადღებას. თუ იქ ხშირად არ ხარ, ჩათვალე, რომ ძალიან მალე გაკოტრდები! – აღნიშნავს ხვიჩა ჯანჯალაშვილი.

ეკა დესაძე ვარკეთილში, თრიალეთის ქუჩაზე მდებარე მაღაზიის მფლობელია. მისი მაღაზია 20 კვადრატული მეტრია. ეკას თქმით, აღნიშნული ფართი დაახლოებით 15 000 დოლარი ღირს.

– რაც შეეხება საჭირო ინვენტარსა და სურსათს, რომლითაც მაღაზია უნდა შეავსო, დღეს ამ ყველაფრისთვის 10-15 ათასი უნდა გაითვალისწინო. მაღაზიას ბევრი ხარჯი აქვს. ბუღალტერია, გადასახადები, ყოველდღიური წვრილმანები... საბოლოოდ გამოდის, რომ მოგება ათას ლარს ვერ სცდება. გარეუბანში მით უმეტეს, ფულს ბრუნვა არ აქვს. რომ იტყვიან, პურს ამით ვჭამთ და თავს ვირჩენთ. ასევე, უნდა ითქვას, რომ ჩვენკენ ფასი უფრო მუშაობს, ვიდრე ხარისხი და ბრენდი. ყოველთვის ვცდილობ, არ შემოვიტანო ისეთი პროდუქცია, რომელიც, ვთქვათ, ცენტრალურ უბნებში კარგად იყიდება, მაგრამ ჩვენთან მოთხოვნა არ არის და ძნელად საღდება, – აღნიშნავს ეკა დესაძე.

მარიამ მურაჩაშვილი გახსნის დღიდან, გურამიშვილის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი მაღაზიის მენეჯერია.

„მაღაზია ნაქირავები გვაქვს და ყოველ თვეში 1000 დოლარს ვიხდით. სამუშაო ფართი 83 კვადრატულია. ასეთი მაღაზიისთვის საჭირო საწყისი კაპიტალი დაახლოებით 100 000 ლარია. ფასში, რა თქმა უნდა, არ შედის ფართის შესყიდვა; სამაცივრე დანადგარები, რემონტი, პროდუქციის შემოტანა, დახლების შევსება კი გათვალისწინებულია“.

მისი თქმით, უბნის მაღაზია თავის რჩენის საშუალებაა და იშვიათად, მხოლოდ სადღესასწაულო პერიოდში გადის მაღალ მოგებაზე.

– დიდ მოგებაზე გასვლა და მომავალში რაიმე კაპიტალდაბანდების გაკეთება უბნის მაღაზიიდან მიღებული შემოსავლით გამორიცხულია. მოგება სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ არჩინო შენი ოჯახი, ხელფასები გადაუხადო პერსონალს და გადაიხადო ყოველთვიური გადასახადები.




რაც ყველაზე მეტად მუშაობს და იყიდება უბნის მაღაზიაში, ესაა ყოველდღიური მოხმარების საშუალებები, თუმცა მათზე შეუძლებელია, ჩვენნაირმა მაღაზიამ მოგების დიდი მარჟა დააწესოს. თამბაქო 10-პროცენტიან, პური 5-პროცენტიან, მინერალური წყალი 12-პროცენტიან, ზეთი კი 8-დან 10 პროცენტამდე მოგებაზე მუშაობს. სპირტიანი სასმელები 15-20 პროცენტზეა გათვლილი, მაგრამ გაყიდვადი არ არის და ყოველდღიური ბრუნვა არ აქვს. ყველა ხარჯის გათვალისწინებით, მაღაზიის წლიური მოგება 8-დან 10 პროცენტამდეა, – აღნიშნა მარიამ მურაჩაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ უბნის მაღაზიების მოგება, როგორც აღმოჩნდა, არც ისე დიდია, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ტიპის მცირე ბიზნესის წამოწყება და მომავალში მისი განვითარება გაცილებით რეალისტურია. ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც ჭკვიანურ და საქმიან გათვლებს, საკუთარ ალღოზე დაყრდნობით გააკეთებს, უბნის მაღაზია დიდი ბიზნესის საწყის ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. (ambebi.ge)



## მდააა... ევროპა ისევ ელის ტერაქტებს, ჩვენ კი გვიმტკიცებენ, ყველაზე დაცულები ვართო!



ევროპოლის ხელმძღვანელი, რობ უეინრაითი ევროპაში ახალ ტერაქტებს არ გამორიცხავს

– მიზანშეწონილია ვივარაუდოთ, რომ თავდასხმები გაგრძელდება, – განაცხადა მან ბრიუსელში სიტყვით გამოსვლისას და დასძინა, რომ ის, რაც მუმბაიში მოხდა, ახლა ევროპას დაატყდა თავს.

მისი თქმით, დღეს ტერორიზმი უფრო საშიში ფორმით არის წარმოდგენილი, ვიდრე ოდესმე. (ნიუპოსტი)

## „წულუკიანი ადეიშვილის კვალს დაადგა“



„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის, ნინო გოგუაძის განცხადებით, თეა წულუკიანმა შეასრულა ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის ბრძანება და კაბელების საქმით სახელგანთქმული ირაკლი შოთაძე ქვეყნის გენერალურ პროკურორად დანიშნა.

– ის „არათავისუფალი“ დემოკრატები, რომლებიც ერთი წლის წინათ დარჩნენ კოალიციაში, მართლაც ექაჩებიან ქვეყანას უკან. ყველაზე ნათლად ეს გამოჩნდა პროკურორის ვითომ შერჩევის პროცესში, როდესაც თეა წულუკიანმა რეალურად შეასრულა ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის ბრძანება და კაბელების საქმით სახელგანთქმული ირაკლი შოთაძე ქვეყნის გენერალურ პროკურორად დანიშნა. ასე რომ, მთელი ის რეფორმა, რითაც თეა წულუკიანს ასე მოაქვს თავი, სინამდვილეში აბსოლუტური ფარსია. ის პირდაპირ იმეორებს ადეიშვილის ქმედებებს და მისი ძალისხმევით საქართველომ მიიღო შოთაძის პროკურატურა და ურთმელიძის სასამართლო. ქალბატონო თეა, ძალიან გვიხარია, რომ ჩვენმა აქციამ თქვენი ყურადღება მიიპყრო. კიდევ უფრო გაგვიხარდებოდა, თუკი თქვენთვის საამაყო გამჭვირვალე პროცედურების ჩატარების შედეგად რეალურად კვალიფიციურ და დამოუკიდებელ გენერალურ პროკურორს მივიღებდით. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სახლი ახალგაზრდა თავისუფალი დემოკრატებისთვის მხოლოდ შეკრების ადგილი იყო და აქცია თქვენს სამინისტროსთან გაიმართა, იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში არ მოგვიწევს თქვენს წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალთან აქციის გამართვა. გილოცავთ სახელოვანი წინამორბედის ზურაბ ადეიშვილის კვალის გაგრძელებას! ჩვენი აქციები არ მოგაკლდებათ! – აცხადებს ნინო გოგუაძე. (პირველი რადიო)

# თუკი აფთიაქებს, სადაც ნარკოტიკების შემცველ პრეპარატებს ურეცეპტოდ ყიდიან, სჯიან, ისევ რატომ იყიდება?

## რა სკანდალური ჩანაწერები არსებობს და რას აცხადებს შსს?




დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80




**„ყოველდღიურად, ქალაქში ვხვდებით მძღოლებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან როგორც საკუთარ, ისე სხვის სიცოცხლეს. ასეთ მძღოლებს პატრული რომ აჩერებს, შემოწმებისას ალკოტესტი სიმთვრალეს ვერ უფიქსირებს. არიან ამის გამო გათავხედებულები და ვის შეიწირავენ, არავინ იცის“**

**„ალია“ დაახლოებით ორი თვის წინ წერდა, რომ აფთიაქებში ფსიქოტროპული პრეპარატები თავისუფლად იყიდება და ეს დიდ ხანია გრძელდება. „რეფორმატორები“ აანონსებენ, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებულ სკანდალურ ჩანაწერებს გამოაქვეყნებენ.**

**რა უპასუხეს „რეფორმატორებს“ ჯანდაცვის სამინისტროში ურეცეპტოდ გაყიდულ წამლებზე? რა საკანონმდებლო წინადადებას შესთავაზებს პარტია პარლამენტს და რას ამბობენ ამ პრობლემაზე შს სამინისტროში?**

**„ალიას“ „რეფორმატორების“ ლიდერი, ირაკლი ღლონტი ესაუბრა:**

– ამ თემაზე დიდი ხანია პერმანენტულად საუბრობენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ექსპერტები, ცალკე აღებული მოქალაქეები, თუმცა, ამ საუბრებს მდგომარეობა არ შეუცვლია. პრაქტიკულად, დღეს ჩვენ ვცხოვრობთ იმ რეალობაში, სადაც ლიბერალური სანქციების გამო სკოლის მოსწავლეებსაც კი ხელი მიუწვდებათ ნარკოტიკული თრობის გამომწვევ საშუალებებზე. ყოველდღიურად, ქალაქში ვხვდებით მძღოლებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან როგორც საკუთარ, ისე სხვის სიცოცხლეს. ასეთ მძღოლებს პატრული რომ აჩერებს, შემოწმებისას ალკოტესტი სიმთვრალეს ვერ უფიქსირებს. არიან ამის გამო გათავხედებულები და ვის შეიწირავენ, არავინ იცის.

რასაკვირველია, ერთ ინტერვიუში ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც საფრთხეშია, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს ყველაფერი ქმნის გლობალურ პრობლემას, რომლის მოგვარებაც მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო რეფორმებით შეუძლია ხელისუფლებას. ჩვენ ხელთ გვაქვს 2 დღის წინ გადაღებული ფარული ვიდეოჩანაწერები, სადაც ნათლად ჩანს, როგორ გასცემენ სააფთიაქო ქსელებიდან ფსიქოტროპულ მედიკამენტებს უკანონოდ, რეცეპტის მოთხოვნის გარეშე.

**— სად მოხდა ეს ფაქტი?**

– ეს ხდება ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ აფთიაქში. მისამართს და აფთიაქის დასახელებას ჯანდაცვის სამინისტროს ვეტყვით. ახლა ღიად რომ დავასახელო, შეიძლება წამლის ბევრი მომხმარებელი მიაწყდეს.

**— ორი თვის წინ ვწერდით ამ თემაზე და მაშინ რესპონდენტმა გამოთქვა ეჭვი, რომ ასეთ აფთიაქებს ძალოვანები მფარველობენ, თორემ ამდენს ვერ გაბედავდნენო. თქვენ ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ვინ აფარებს მათ ხელს?**

– ამის დადგენა მარტივი არ არის, ვარაუდი კი ბევრნაირი შეიძლება არსებობდეს.

**— თუ მიაწოდეთ ეს ჩანაწერი ჯანდაცვის სამინისტროს?**

– ჩემი თანამშრომელი დაუკავშირდა ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს და უთხრა, – გვაქვს შეტყობინებები, კონკრეტული ქეისები და თუ მოახდენთ ოპერატიულად რეაგირებასო? ამაზე 10 წუთის დაყოვნებისა და ფიქრის შემდეგ, ისევ იმ ოპერატორმა უპასუხა ჩვენს თანამშრომელს, რომ წერილობით მიგვემართა და რეგულირების სააგენტო იმსჯელებდა.

**— ამ ჩანაწერებს მიაწვდით?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ პასუხიდან ჩანს, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთვის ეს საკითხი არ არის მტკივნეული და არც ოპერატიულ რეაგირებას არ ახორციელებენ – არათუ ცვლილებებზე, არამედ პრევენციის მიზნითაც. ამიტომაც ჩვენ ამ ჩანაწერებს გავასაჯაროებთ და ჯანდაცვასაც მივაწვდით. ურეცეპტოდ ვაჭრობა კანონის დარღვევაა, თუმცა ის იმდენად მომგებიანი ბიზნესია, რომ მზად არიან, დაუფიქრებლად გადაიხადონ ჯარიმა და გააგრძელონ უკანონო საქმიანობა.

კანონის თანახმად, დღეს „ნიმესილს“ ვერ იყიდი რეცეპტის გარეშე. ამ დროს, მთელი საქართველოს მასშტაბით შეგიძლია შეიძინო ფსიქოტროპული და ნარკოტიკული თრობის გამომწვევი მედიკამენტები ურეცეპტოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცები აკეთებენ ძალიან დიდ ფულს და ხელისუფლებისთვის მოსახლეობასა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა არ არის პრიორიტეტული.

**— ძირითადად, რომელი მედიკამენტები გაიცემა ურეცეპტოდ?**

– ჩამოთვლა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცამ ინტერესის გამო არ შეიძინოს და არ დალიოს, ამ მედიკამენტებზე საკონტროლო შესყიდვაც განვახორციელეთ. ერთს დაგისახელებთ, რომელიც მეტნაკლებად ცნობილია – „გაბაპენტინი“.

**— ჯანდაცვის სამინისტროს გარდა სამართალდამცავ უწყებებსაც მიმართავთ?**

– სამართალდამცავებს რომ მიმართოთ, ამისთვის უნდა იყოს დანაშაული, ანუ დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება. დღემდე ეს ასე არ არის და სწორედ ეს არის შეცდომა.

**— აბა, კანონდარღვევააო და არ უნდა დაისაჯონ?**

– კანონდარღვევა არ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის დანაშაულია. კანონდარღვევა იწვევს სანქციას, რომელიც არ არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი და რეგულირდება სხვადასხვა აქტებით, როგორიც არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სხვა. ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა არის ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების გამოჩენა – დაადგინოს განსაკუთრებული რეგულაციები, მკაცრი სანქციები და ამ გზით განახორციელოს პრევენცია.

**— რას აპირებთ?**

– ვამზადებთ საკანონმდებლო ინიციატივას, კანონში ცვლილებების შესატანად, რომლითაც მივმართავთ პარლამენტს.

**— რას ითვალისწინებს ცვლილება?**

– ახლა მოქმედი კანონის 373-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად: „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მიხედვით პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის (გაცემის) წესის დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 6000 ლარის ოდენობით. ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 12000 ლარის ოდენობით.

კანონის ამგვარი დეფინიცია ქმნის დამრღვევი პირებისთვის ხელსაყრელ პირობებს და ხელს უშლის საქართველოში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას, საბოლოოდ კი საფრთხეს უქმნის საზოგადოების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას. ფინანსური სანქცია არაა საკმარისად მკაცრი, რადგან შემოსავლები აშკარად აღემატება ჯარიმას. ცნობილია, რომ დამრღვევი აფთიაქების ლიკვიდაციაც არაფერს არ ცვლის, სხვა სახელწოდებით ხსნიან და მუშაობას აგრძელებენ.

ჩვენი პროექტის მიხედვით, რეცეპტს დაქვემდებარებული პროდუქტის რეცეპტის გარეშე გაყიდვა სისხლის სამართლის დანაშაული უნდა იყოს. ჩვენი წინადადება რედაქტირების პროცესშია და ამიტომაც ჯერ კიდევ ბევრ რამეზე უნდა ჩამოვყალიბდეთ. მიგვაჩნია, რომ სანქცია უნდა იყოს არსებითად მკაცრი და დარღვევის ხელმეორედ განხორციელების შემთხვევაში დადგეს მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

**დაინტერესდება თუ არა შს სამინისტრო „რეფორმატორების“ მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერით? ამ კითხვით შს სამინისტროს მივმართეთ. საკითხზე განმარტება შს სამინისტროს აკადემიის პრორექტორმა, სოფო კილაძემ გააკეთა:**

„ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული – ეს, ორი სხვადასხვა სახის ნივთიერებაა. ფსიქოტროპული ნივთიერებები არის მესამე სიაში, მის გასაცემად აუცილებელია რეცეპტი და მისი უკანონო ბრუნვა ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ასევე, არსებობს ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც, ასევე, ექვემდებარება რეცეპტს, მაგრამ მათი უკანონო ბრუნვისთვის არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ანუ იმ ნივთიერებების გაცემა, რომელიც არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მათი უკანონო ბრუნვა ექვემდებარება ჯანდაცვის სამინისტროს. „გაბაპენტინი“, რომელზეც თქვენი რესპონდენტი საუბრობს, არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ეს არის შეზღუდული ნივთიერება და ამასზე თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელია ჯანდაცვის სამინისტრო.

ზოგადად, ჩვენ და ჯანდაცვის სამინისტროს, აფთიაქებზე გვაქვს დაწესებული ერთობლივი კონტროლი. იმ ნივთიერებებზე, რომელიც ეხება შს სამინისტროს, ანუ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ჩვენ ვახდენთ რეაგირებას, მათ შორის აფთიაქებშიც. კონტროლის ეს მექანიზმი გამოდგა ძალიან ეფექტური. მუშაობის შედეგად, კანონმდებლობაში მოხდა და იგეგმება სერიოზული საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება. დღემდე, ერთობლივად, ორი უწყება ჩვენ-ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ვახდენთ რეაგირებას მსგავს საკითხებზე“. – გვითხრა სოფო კილაძემ.

**„ალია“ აუცილებლად დაინტერესდება, რას მოიმოქმედებს ჯანდაცვის სამინისტრო მას შემდეგ, როცა ჩანაწერებს გადასცემენ.**

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ბარაკ ობამამ რუსეთს სირიის გადარჩენისკენ მოუწოდა



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რუსეთს სირიის გადარჩენისკენ მოუწოდა. ამის შესახებ „ბიბისი“ წერს.

ობამას განცხადებით, რუსეთი და ირანი არჩევანის წინაშე დგანან – მხარი დაუჭირონ ბაშარ ალ-ასადს ან დაეხმარონ სირიას, მიიღოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება.

აშშ-ის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სირიაში სამოქალაქო ომი ვერ შეწყდება მანამ, სანამ ასადი არ გადადგება და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანაში სამშვიდობო პროცესი წარმატებით დასრულდება.

„ბიბისის“ ინფორმაციით, აღნიშნული განცხადება ობამამ კანადის ახალ პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრიუდოსთან საუბარში გააკეთა. თავის მხრივ, ტრიუდომ განაცხადა, რომ კანადა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში საერთაშორისო კოალიციის წევრად კვლავ რჩება. (ინტერპრესნიუსი)

## „ამომრჩევლებს არ უნდა წავართვათ იმის საშუალება, რომ თავისი რაიონის ჭირისუფალი ჰყავდეს პარლამენტში“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დავით ლორთქიფანიძე დარწმუნებულია, რომ 21 ნოემბერს დაგეგმილ შეხვედრაზე, ხელისუფლება და ოპოზიცია საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით კონსენსუსამდე მივა.

როგორც ლორთქიფანიძე აცხადებს, აღნიშნულ შეხვედრაზე ისეთი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული, რომელიც ამომრჩევლის ინტერესებს არ დააზიანებს.

– სამწუხაროდ, ამ პროცესში ჩართული არ ვარ და არ შემიძლია, აღნიშნულ თემებზე კონკრეტულად პასუხი გაგცეთ, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ ისეთი გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული, რომელიც ჩვენი ამომრჩევლების ინტერესებს არ დააზიანებს, რომელიც არ იქნება წინააღმდეგობაში საერთაშორისო თანამეგობრობასთან და ჩვენი მეგობრების მოთხოვნები მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული. ასევე, ვფიქრობ, რომ საზოგადოებისთვის არ არის საინტერესო იმ ადამიანებისა და პოლიტიკური ძალების, ხშირ შემთხვევაში ახირებული პოზიცია, რომლებიც თავიდან ბოლომდე განასახიერებდნენ და დღესაც განასახიერებენ „ნაციონალური მოძრაობას“. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შეხვედრაზე, რომელზეც ხელისუფლებასთან ერთად ოპოზიციაც იქნება ჩართული, ჩვენ მივალთ იმ კონსენსუსამდე, რომელიც იქნება დღეის მოცემულობით ყველაზე რელევანტური საზოგადოებისთვის, – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

მისი განმარტებით, საქართველოში ავტორიტეტებს პატივს სცემენ.

– ამიტომ, ამომრჩევლებს არ უნდა წაერთვათ იმის საშუალება, რომ თავისი რაიონის ჭირისუფალი ჰყავდეთ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, – აღნიშნა ლორთქიფანიძემ. (pia.ge)

**ჭირისუფალი კი არა, „მკვდარზე ვენოკად“ არ არგია ხალხს არც ერთი მაჟორიტარი, დავით ბატონო, ჰკითხეთ მოსახლეობას და დაგიდასტურებს ყველა ერთხმად!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ზოდიაქოს ნიშნები, რომლებიც ვერ ან იშვიათად მდიდრდებიან



ფინანსური სტაბილურობა, ალბათ, ნებისმიერი ჩვენგანის ოცნება და მიზანია. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც მარტივად ახერხებენ გამდიდრებას, მაშინ როცა ზოგი თითქოსდა მუხლჩაუხრელად შრომობს მუდამ, მაგრამ სიმდიდრე არა და არ ჩანს მათ ცხოვრებაში. ასტროლოგები გვთავაზობენ ზოდიაქოს ნიშნების ე.წ. „შავ სიას“, რომელთაც ყველაზე ნაკლებად გამოსდით გამდიდრება.

ისე, ამქვეყნად ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. შესაბამისად, თუკი „შავ სიაში“ მოხვდით, კარგად გადახედეთ საკუთარი ზოდიაქოს ცუდ თვისებებს, რომლის გამოც სამყარო ხელს გიშლით გამდიდრებაში და ვინ იცის, იქნებ თქვენთვისაც გამოიდაროს ოდესმე...



– **სასწორი** – ფინანსების გამომუშავებაში ის უშლის ხელს, რომ ყოველთვის ვიღაცის „ხელის წაკვრას“ ელოდება. სასწორი პარტნიორობაზე ორიენტირებული ნიშანია, ამიტომ ზოდიაქოს ამ ნიშნით დაბადებულთაგან ზოგიერთს მთელი ცხოვრება აქვს იმედი იმისა, რომ ვიღაც გამოჩნდება და ფინანსურ ფერხულში „გამოიცეკვებს“. ასტროლოგები ურჩევენ სასწორს, ოპოზიციურ ნიშანს ვერძს დააკვირდეს და მისგან მეტი დამოუკიდებლობა ისწავლოს. ეს არის ერთადერთი გზა სასწორისთვის ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

– **თევზები** – როგორც წესი, ფინანსურ პრობლემებამდე პასიურობასა და ილუზიებში ცხოვრების მოთხოვნილებას მიჰყავს. თევზების ნიშნით ბევრი მართლაც ნიჭიერი ხელოვანი იბადება, თუმცა ბრძოლისუუნარობა და დინებაზე მიყოლის სურვილი, რომელსაც ასტროლოგები თევზის ნიშნის ერთ-ერთ ნაკლად ასახელებენ, ხშირად ხდება მიზეზი იმისა, რომ ნიჭიერი, მაგრამ პასიური თევზები ვერა და ვერ ახერხებს, სიღარიბის მორევს დააღწიოს თავი.

– **მშვილდოსანი** – ამ ადამიანებს სხვანაირად ასტროლოგები „ქუდბედიანებსაც“ უწოდებენ, იმიტომ რომ პლანეტა იუპიტერი, რომელიც მათ ნიშანს მართავს, ხშირად იბერტყავს წყალობის კალთას ბევრ მათგანზე. თუმცა ნაშოვნ ფულს რომ მოფრთხილება და სწორად დაბანდება უნდა, ამას ბევრი მშვილდოსანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ სწავლობს ჯეროვნად. შესაბამისად, მშვილდოსნებიც არაერთგზის დგანან ხოლმე სიღარიბის ზღვარზე. (astrologi.ge)

# „ვისაც არ სჯერა, ვთავაზობ ხოლმე, რომ შევიდეს საძინებელში და ღამე გაათენოს...“

## ვაკეში მცხოვრები ქალბატონი მოჩვენებების შესახებ ,,ალიას“ დაუჯერებელ ისტორიებს უყვება

მარიკა არღვლიანი
551 81-55-88



პარანორმალური მოვლენები მთელ მსოფლიოში უკარგავს მოსვენებას უამრავ ადამიანს, თუმცა საზოგადოების უმეტესობას მაინც არ სჯერა მოხეტიალე სულების, ლანდების, აჩრდილებისა და სხვა „არსებების“, რადგან შეხება მათთან არასოდეს ჰქონია. ამის მიუხედავად, არიან ადამიანები, რომლებიც არა მარტო ხედავენ მათ, არამედ უშუალო კონტაქტსაც ამყარებენ, გრძნობენ შეხებას და თქვენ წარმოიდგინეთ, ესაუბრებიან კიდეც.









„ალიაში“ „ქამმერდეს“, ანუ „სვანი თოვლის კაცის“ შესახებ გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ, ერთი თბილისელი ქალბატონი გამოგვეხმაურა, რომელიც ძალიან საინტერესო ანომალიური ფაქტების შესახებ საუბრობს. მეტიც, მან საკუთარ ოჯახში გადაღებული ფოტოც მოგვაწოდა, რომელზეც, როგორც თავად ამტკიცებს, მისი გარდაცვლილი მეუღლეა აღბეჭდილი...

**„ალია“ ითვალისწინებს რესპონდენტის თხოვნას და მის ვინაობას არ ამხელს. რამდენად შეიძლება ნაამბობის დაჯერება, თავად განსაჯეთ:**

– ვაკეში ვცხოვრობთ მე, დედაჩემი და ჩემი ვაჟი. ბავშვობა ამ სახლში მაქვს გატარებული. სახლის ის ოთახი, სადაც ახლა იშვიათად შევდივართ, ჩემი იყო ბავშვობიდანვე. როცა გაკვეთილები მქონდა სასწავლი, იქ ვმეცადინეობდი და სულ ვწუხდი და ვამბობდი, ვგრძნობ, ჩემ გარდა იმ ოთახში კიდევ ვიღაც არის, ვერ ვხედავ, მაგრამ სუნთქვა მესმის-თქო.

**— თქვენ გარდა, კიდევ ვინმე სხვაც ადასტურებდა ამ ამბავს? სხვასაც უცხოს უგრძვნია არსებობა?**

– არამხოლოდ მე, ჩემი ოჯახის ყველა წევრი ადასტურებდა იმას, რომ იმ ოთახში ნამდვილად იყო ვიღაც და დღესაც ადასტურებენ ამას. გავიდა დრო და ასე თუ ისე შევეჩვიეთ. მერე დავოჯახდი, თუმცა მეუღლე მალე გარდამეცვალა. როცა დავკრძალეთ, იმ ოთახში შევედი და მწარედ ავტირდი... აი, მაშინ ვიგრძენი, რომ ვიღაც შემეხო...

**— მხოლოდ შეგეხოთ თუ დაგელაპარაკათ ან რაიმე ხმაც ხომ არ გაიგონეთ?**

– აზრობრივად დავუკავშირდით ერთმანეთს, არ ლაპარაკობდა, მაგრამ მესმოდა, რასაც ამბობდა. შემდეგაც, იმ ოთახში რომ შევდიოდი და თვალებს დავხუჭავდი, შეხებას ყოველთვის ვგრძნობდი. ამის შემდეგ საოცარი სიმშვიდე მეუფლებოდა ხოლმე და ამიტომ, როცა რამე მიჭირდა, ოთახში ხშირად შევდიოდი, იქ ვიძინებდი კიდეც. დედაჩემს უკვირდა, როგორ იძინებ იმ ოთახშიო?!

**— ესე იგი, დედათქვენიც გრძნობდა რაღაცას?**

– დედაჩემიც, ჩემი ვაჟიც და ზოგადად, ვინც იმ ოთახში შესულა, ყველას უთქვამს, რომ რაღაც ესმით, რაღაცას გრძნობენ...

**— ამ ფოტოზე, რომელიც მოგვაწოდეთ, ამბობთ, რომ თქვენი გარდაცვლილი მეუღლეა აღბეჭდილი.**

– ეს ფოტო პირველი მეუღლე რომ გარდამეცვალა, რამდენიმე წლის შემდეგაა გადაღებული მობილური ტელეფონით. ვინც ჩემს მეუღლეს პირადად იცნობდა, ყველა ამტკიცებს, რომ ეს მისი გამოსახულებაა..

**— ანუ გამოდის, რომ გარდა უცხო სულისა, თქვენი მეუღლის სულიცაა თქვენს ოჯახში?**

– დიახ, ასეა... როგორც უკვე გითხარით, ჩემს საძინებელში უცხო ძალას ბავშვობიდან ვგრძნობდი, ამ სურათმა კი დაგვარწმუნა, რომ ჩემი მეუღლის სულიც ოჯახშია.

**— დიდი ეჭვი მაქვს, ამ ამბის დაჯერება ძალიან ბევრ ადამიანს გაუჭირდება...**

– ვიცი და არც გამიკვირდება... როცა ეს ფოტო ჩემმა მეზობელმა გადაიღო, რომელიც ნახევრად ჩეჩენია, განცვიფრებული მომიბრუნდა და მკითხა, – ეს ხომ შენი მეუღლეაო?!. ვისაც არ სჯერა, ვთავაზობ ხოლმე, რომ შევიდეს საძინებელში და ღამე გაათენოს... ბევრმა გაბედა და დარწმუნდა კიდეც, რომ იქ რაღაც თუ ვიღაც ნამდვილად არსებობს. უფრო მეტსაც გეტყვით – ერთ ახლობელს არ გავუმხილე, რაც იმ ოთახში ხდებოდა... პირველ და მეორე დღეს ხმა არ ამოუღია, მესამე დღეს კი შეშფოთებულმა მოკრძალებით დაიწყო: „გიჟად არ ჩამთვალოთ, მაგრამ იმ ოთახში, მგონი, რაღაც ხდებაო. თვალები რომ დახუჭული მაქვს, აშკარად მესმის სუნთქვის ხმა, რომ ვახელ, ვერავის ვხედავო...“

**— ამის შესახებ აცნობეთ ვინმეს — ვთქვათ, სპეციალისტებს, სასულიერო პირებს?**

– არა და არც მინდა გასაჯაროება და გაპიარება. ჩემმა ახლობლებმა იციან ყველაფერი. ხომ გითხარით, დასარწმუნებლად რამდენიმეს იმ ოთახში დარჩენაც კი შევთავაზე და ყველამ დაადასტურა, რომ ვერ ვხედავთ, მაგრამ სუნთქვა გვესმისო. ზოგმა კვნესაც გაიგონა, მე კი შესაძლოა, ბევრმა გიჟიც მიწოდოს, მაგრამ ვესაუბრები...

**— რას ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ეს?**

– არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, იქ ნამდვილად ვიღაცაა და ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ვეუბნები, მობრძანდი და დარჩი მარტო იმ ოთახში-მეთქი... თუ გახსოვთ, თბილისის ერთ-ერთ მისამართზე, მაჩაბლის ქუჩაზე მოჩვენებები სახლობენო, მითქმა-მოთქმა რომ იყო?!

**— დიახ, გამიგია...**

– ჰოდა, იქ მომიწია მისვლა, რაღაც დოკუმენტები მქონდა მისატანი და სადარბაზოში რომ შევედი, „ახლავე აქიდან წადიო!“ – მოხუცი ქალის ხმა გავიგონე და ისეთი გამოვვარდი, უკან არ მიმიხედავს.

**— რა იცით, რომ მოხუცი ქალი იყო?**

– ძნელი ასახსნელია ასე, თუ საკუთარ თავზე არ გამოსცადა ადამიანმა. რეალურად ხმაც არავის ამოუღია. აქ ხდება აზრობრივი კავშირის დამყარება, რა დროსაც ხდება ხედვაც და მოსმენაც. იმის მერე იქაურობას რომ სამარშრუტო ტაქსით ჩავუვლი, გახედვისაც კი მეშინია ხოლმე...

**— სახლში მოძღვარი არ მიგიყვანიათ?**

– გვყავდა, მაგრამ არაფერი ეშველა... როცა მიჭირს, შევდივარ და ვესაუბრები. ერთხელ გამაფრთხილა კიდეც, ერთ-ერთ ადგილას არ წავსულიყავი, არ დავუჯერე და როგორც მითხრა, სწორედ ისე მოხდა ყველაფერი. არ ვუჯერებ, ცუდად ვიქცევი და ახლა აღარ მინდა იმ ოთახში შესვლა. ვიცი, განაწყენებულია. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ვიმეორებ, ფაქტია, რომ ფოტოკამერამაც დააფიქსირა ჩემი გარდაცვლილი მეუღლე. ჩემმა შვილმა მაშინვე ამოიცნო – „ეე, მამაჩემიო!“ რა ხდება, რატომ ხდება, არ ვიცი, მაგრამ ის, ვინც ჩემს ოთახში ცხოვრობს, არის მამაკაცი. ის კეთილია და არავის არაფერს უშავებს...

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



საპროკურორო საბჭომ მთავარ პროკურორად ირაკლი შოთაძე აირჩია. კენჭისყრა დახურული იყო და საბჭოს 15 წევრიდან შოთაძემ 13 ხმა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ მთავარი პროკურორობის კანდიდატების შერჩევამდე იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ერთი თვის განმავლობაში საჯარო კონსულტაციებს მართავდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ექსპერტებმა, აკადემიურმა წრეებმა პროკურორობის კანდიდატებად ვლადიმერ გაბრიჩიძე, ლაშა გოლუბიანი, ლენა კაპანაძე, ნანა რევაზიშვილი, პაატა შავაძე, ირაკლი შოთაძე და კოტე ჭილაია დაასახელეს. ერთმა კანდიდატმა კახა კახიშვილმა თავად მოხსნა საკუთარი კანდიდატურა. მათგან თეა წულუკიანმა საპროკურორო საბჭოს მთავარი პროკურორობის კანდიდატებად ვლადიმერ გაბრიჩიძე, ნანა რევაზიშვილი და ირაკლი შოთაძე წარუდგინა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო იუსტიციის მინისტრის დადგმული სპექტაკლი, რადგან ირაკლი შოთაძეს არც ერთი ძლიერი კონკურენტი არ დაუყენეს.

მოკლედ, დადასტურდა „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ პროგნოზები იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილი გიორგი ბადაშვილის მუშაობით უკმაყოფილო იყო და მას მალე მოხსნიდა. ჩვენ ამას მანამდე ვწერდით, ვიდრე თეა წულუკიანი ამ საპროკურორო საბჭოს შექმნიდა.

**ახალი მთავარი პროკურორის არჩევასთან დაკავშირებით, „ალიას“ ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრება:**

**— ბატონო გელა, მგონი, მოულოდნელი არავისთვის იყო ირაკლი შოთაძის მთავარ პროკურორად არჩევა. მაინც, რისი წყალობით გაიმარჯვა?**

– კი, ირაკლი შოთაძის არჩევა მოსალოდნელი იყო. მთავარი პროკურორის პოსტზე როცა 7 კანდიდატი დასახელდა, თავიდანვე გასაგები იყო, რომ ყველაზე რეალური შოთაძე იყო იმ შვიდშიც და შემდეგ სამნი რომ დარჩნენ, იმ სამშიც. ერთი მხრივ, საპროკურორო საბჭოში პროკურატურის თანამშრომლებს 8 კვოტა ჰქონდათ და ცხადია, ეს 8 პროკურორი მოქმედი მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს დაუჭერდა მხარს, ასე ვთქვათ, თავისიანს. ასევე, შოთაძე, სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, ბევრად ცნობადია, ესეც გარკვეული ფაქტორი იყო მის სასარგებლოდ. არავის ღვაწლსა და პროფესიულ წარმატებას არ ვაკნინებ, მაგრამ სხვა კანდიდატებს არ ჰქონდათ რაღაც განსაკუთრებული წარმატებები და მიღწევები, არც ერთი არ იყო გამორჩეული.

**— ირაკლი შოთაძის ერთადერთი რეალური კონკურენტი კახი კახიშვილი იყო, მაგრამ მან კანდიდატურა მოხსნა. ხომ არ იყო ეს სახელისუფლებო გუნდის ერთობლივი გადაწყვეტილება? რაიმე კულუარულ შეთანხმებასთან ხომ არ გვაქვს საქმე?**

– მე არაფერს გამოვრიცხავ, შესაძლოა, ეს მართლაც რაღაც სახელისუფლებო შეთანხმება იყო.

**— ირაკლი შოთაძე 2 წელი იყო მთავარი პროკურორის მოადგილე. ამ ხნის მანძილზე, პროკურატურას საზოგადოების მთავარი დაკვეთის, სამართლიანობის აღდგენის კუთხით ბევრი არაფერი გაუკეთებია, ერთეულ ადამიანებს დაუბრუნეს „ნაციონალების“ დროს წართმეული ქონება და ისიც, ძირითადად, მცირე ღირებულების. ახლა საზოგადოებას რატომ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რაკი ირაკლი შოთაძე მოვიდა მთავარ პროკურორად, თავდაყირა დააყენებს პროკურატურას, ყველაფერს რადიკალურად შეცვლის და სამართლიანობის აღდგენის პროცესს დააჩქარებსო?**

– რა თქმა უნდა, პროკურატურის თავდაყირა დაყენებისა და რადიკალურად შეცვლის იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ახლა შოთაძეს მეტი ბერკეტი ექნება. კი, ბატონო, შოთაძე იუსტიციის მინისტრმა წარუდგინა საპროკურორო საბჭოს და სხვებისგან გამოარჩია, ახლა პრემიერთან შეთანხმების შემდეგ პარლამენტს უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად, ანუ პრემიერმაც დასტური უნდა მისცეს მის კანდიდატურას. ეს, ერთი მხრივ, ირაკლი შოთაძეს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს მთავრობის, იმავე იუსტიციისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე, მასზე დამოკიდებულს ხდის. თუმცა, როცა პარლამენტი მას დაამტკიცებს, უკვე ეს დამოკიდებულებაც გაქრება, დამოუკიდებელ ფიგურად იქცევა. ცხადია, თავად უნდა მოინდომოს ის დამოუკიდებლობა, რასაც მას კანონი ანიჭებს. ახალი მთავარი პროკურორი პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— თუმცა, მინიმუმ, მორალური ანგარიშვალდებულება ირაკლი შოთაძეს მაინც ექნება იმ ხალხის მიმართ, ვინც მას პარლამენტამდე გზა გაუკაფა.**

– მოდით, ვთქვათ, ვინ არიან ეს ადამიანები. შოთაძე საპროკურორო საბჭოს წარუდგინა იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა. პარლამენტს მის კანდიდატურას წარუდგენს პრემიერი ღარიბაშვილი. შოთაძე 6 წელი უნდა იყოს მთავარი პროკურორი და წულუკიანი და ღარიბაშვილი ამდენ ხანს იქნებიან მინისტრები? ძალიან მეეჭვება, რომ იყვნენ. გამოდის, რომ ეს მორალური ანგარიშვალდებულებაც გარკვეული დროის შემდეგ აღარ ექნება ამ ადამიანების წინაშე შოთაძეს. მეტიც, 2016 წლის შემოდგომით საპარლამენტო არჩევნებია და დიდი შანსია, რომ ღარიბაშვილი და წულუკიანი გაისად ამ დროს აღარც იყვნენ მთავრობაში და შესაბამისად, ეს მორალური ვალდებულებაც თავისთავად გაქრება. თუ ირაკლი შოთაძემ თავად მოინდომა, დამოუკიდებელი გახდეს მთავრობისგან, ამას ნებისმიერ შემთხვევაში მოახერხებს, თუნდაც იმ 6 წლის მანძილზე, როცა ის თანამდებობაზე თუ იქნება, ღარიბაშვილი და წულუკიანი მინისტრები იყვნენ. ისინი ვერც გადააყენებენ და ვერც შეავიწროებენ მთავარ პროკურორს, ამის ნებას მათ კანონი არ აძლევს, მთავრობის ნებისმიერ წევრს ეკრძალება მთავარი პროკურორის საქმიანობაში ჩარევა.

**— ბატონო გელა, რა ბერკეტები არსებობს მთავარი პროკურორის გადასაყენებლად?**

— მისი გადაყენების უფლება აქვს მას, ვინც ნიშნავს, ანუ მხოლოდ პარლამენტს.

**— და რა შემთხვევაში შეუძლია ეს პარლამენტს?**

– ეს უკვე პარლამენტმა უნდა დაასაბუთოს. თუ არ მოეწონათ მისი საქმიანობა, შეუძლიათ, გადააყენონ. დავუშვათ, კრიმინოგენური სიტუაცია გაუარესდა ქვეყანაში, ან საქმეები ვერ გახსნა, თუ პარლამენტმა ჩათვალა, რომ ამაში დანმაშავე მთავარი პროკურორია, ადგება და ხმათა უმრავლესობით გადააყენებს. ან შესაძლოა, ერთი კონკრეტული საქმის შემთხვევაშიც დადგეს მისი გადაყენების საკითხი, ისეთი საქმის, რომელიც ვერ გამოიძია, ან არ გამოიძია. დავუშვათ, ისეთის, როგორიც სანდრო გირგვლიანის საქმე იყო.

**— კი, ბატონო, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ რაღას ვუშვრებით, თუ კვლავ უმრავლესობით მოვიდა ხელისუფლებაში? თუნდაც ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს? მათ წინაშე ანგარიშვალდებულებას სად გაექცევა?**

– გაექცევა, კანონი აძლევს მთავარ პროკურორს დამოუკიდებლობას და ამას გამოიყენებს თუ არა, მასზეა დამოკიდებული. ამის ნათელი მაგალითი გვაქვს თუ გვყავს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. მას ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ გაუკაფეს გზა საპრეზიდენტო სავარძლისკენ, მაგრამ მათგან დამოუკიდებელ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა და მისთვის მინიჭებული კანონის ფარგლებში მოქმედებს.

**— ოთარ ფარცხალაძეზე და გიორგი ბადაშვილზე თავად პროკურორები, უფლებადამცველები და სხვებიც ამბობდნენ, რომ ფინანსური პოლიციიდან ძალიან ბევრი გამომძიებელი გადმოიყვანა, რომლებიც განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების აზრზე არ არიან. მართალია, ირაკლი შოთაძეც ფარცხალაძემ წამოიყვანა ფინანსური პოლიციიდან, მაგრამ მას პროკურატურის სისტემაში მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ბევრი ელოდება, რომ შოთაძე ფინანსური პოლიციის კადრებს გაუშვებს და ახალ გამომძიებლებსა და პროკურორებს მოიყვანს სისტემაში.**

– შეიძლება დაითხოვოს ფინანსური პოლიციის კადრები, ან ნაწილი დატოვოს. მართალია, ფინანსური დანაშაულის გამოძიება სულ სხვა, სპეციფიკურია და პროკურატურაში სხვა მოთხოვნებია, მაგრამ ბევრი იქიდან გადმოყვანილი ადამიანი, შესაძლოა, ძალიან კარგი გამომძიებელი გახდა, თუნდაც სისხლის სამართლის სფეროში. ასეთებს, ცხადია, დატოვებს სისტემაში. ახლა, მარტო იმიტომ, რომ ადრე ფინანსურში მუშაობდა და დღეს ხელაღებით გაუშვას, არც ეს იქნება სწორი.

**— რა უნდა შეცვალოს ირაკლი შოთაძემ პროკურატურაში?**

– სააკაშვილის დროინდელი კადრები არ იყვნენ მიჩვეულნი საქმისადმი სამართლებრივ მიდგომას, საქმეების გასახსნელად დღე და ღამე მუშაობას, სახელდახელოდ თითხნიდნენ და „კერავდნენ“ საქმეებს და სასამართლო მათ ამ შეთითხნილ მტკიცებულებებს ითვალისწინებდა, პროკურორების დაკვეთას უსიტყვოდ ასრულებდნენ მოსამართლეები და ეს ყველამ კარგად ვიცით. აი, ამან გამოიწვია კადრების დეკვალიფიკაცია. ასეთი, უცოდინარი ხალხისგან უნდა განთავისუფლდეს შოთაძე, უნდა მიიყვანოს ახალგაზრდა, მოწადინებული კადრები. ასევე, ყურადღება უნდა მიაქციოს სამართალდამცველთა მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვას. აღარ უნდა განმეორდეს პოლიციის შენობაში ადვოკატის ცემის ფაქტი და სხვა ამგვარი დანაშაულები. ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ძალიან ბევრია გასაკეთებელი და ეს საქმე ირაკლი შოთაძემ უნდა ითავოს.

**— მიხეილ სააკაშვილის დროინდელი პროკურორები ვახსენეთ და ეს სწორედ ეს ხალხია, სამართლიანობის აღდგენის პროცესს რომ აფერხებენ, ხელს უშლიან, რადგან, მგონი, ყველა პროკურორს ერთი ადამიანისთვის უკანონოდ ქონების ჩამორთმევაში მაინც აქვს მონაწილეობა მიღებული. ხალხი ამ პროკურორებს უჩივის ზუსტად, ესენი კი საკუთარ თავს ხომ არ დაიჭერენ? დგანან და ბლოკავენ ამ საქმეებს. თუ ეს პროკურორები არ მოიცილა ირაკლი შოთაძემ, ჩავთვალოთ, რომ არც არაფერი შეიცვლება.**

– რა თქმა უნდა, ხალხი ლუპით დააკვირდება, რამდენად წაიწევს სამართლიანობის აღდგენის პროცესი წინ და საამისოდ, რას გააკეთებს ახალი მთავარი პროკურორი. მარტო ქონების ჩამორთმევაზე არ არის ლაპარაკი, ბევრი ისეთი ადამიანია დაუსჯელი, რომლებიც ხალხს აწამებდნენ და ათას უბედურებას აკეთებდნენ, კონკრეტული პროკურორები და გამომძიებლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა მძიმე და სხვა სახის დანაშაულებებში. ეს ხალხი უნდა მოიშოროს შოთაძემ, მათგან უნდა გაწმინდოს სისტემა, სხვაგვარად, სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მეტიც, ძველი ხელისუფლების დროს მრავალი დანაშაული ხდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში, ამ დანაშაულის ჩამდენები, ზოგი ისევ ძველ პოსტზეა, ზოგი დააწინაურეს. პროკურატურამ ამ ხალხსაც უნდა მიხედოს, ეს ძველი საქმეები უნდა გამოიძიოს და გამოამჟღავნოს ის დანაშაულები, რომელთა შესახებაც საზოგადოებამ ბევრი იცის.

# შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო იუსტიციის მინისტრის დადგმული სპექტაკლი

## შოთაძე 6 წელი უნდა იყოს მთავარი პროკურორი და წულუკიანი და ღარიბაშვილი ამდენ ხანს იქნებიან მინისტრები?



**„გაექცევა, კანონი აძლევს მთავარ პროკურორს დამოუკიდებლობას და ამას გამოიყენებს თუ არა, მასზეა დამოკიდებული. ამის ნათელი მაგალითი გვაქვს თუ გვყავს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. მას ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ გაუკაფეს გზა საპრეზიდენტო სავარძლისკენ, მაგრამ მათგან დამოუკიდებელ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა და მისთვის მინიჭებული კანონის ფარგლებში მოქმედებს.“**

**აქვე მკითხველს ირაკლი შოთაძის ბიოგრაფიისა და ქონებრივი დეკლარაციის შესახებაც მოვუთხრობთ:**

ირაკლი შოთაძე დაიბადა 1983 წლის 7 აგვისტოს. 2005 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

საქართველოს პროკურატურაში კარიერა დაიწყო 2006 წლის მარტიდან.

რაც შეეხება ახალი მთავარი პროკურორის ქონებრივ დეკლარაციას:

მეუღლე ნინო გოტიაშვილი, დაბადებული თბილისში, 1989 წლის 11 იანვარს.

მამა ჯემალ შოთაძე, დაბადებული თბილისში, 1949 წლის 14 თებერვალს.

დედა მანანა ბლაგიძე, დაბადებული ბათუმში 1953 წლის 20 სექტემბერს.

ჩინოვნიკის ოჯახის უძრავი ქონების ნუსხა ასეთია:

ნინო გოტიაშვილი, 100% მიწის ნაკვეთი საქართველო, თეთრი წყარო, სოფელი ალგეთი, ფართობი 1092.00 კვ.მ.

ნინო გოტიაშვილი, 100% საცხოვრებელი სახლი თეთრი წყაროს სოფელ ალგეთში, ფართობი 87.00 კვ.მ.

ჯემალ შოთაძე, მიწის ნაკვეთი 100%, საქართველო, ოზურგეთი, სოფ. შემოქმედი, ფართობი 3500.00 კვ.მ.

ჯემალ შოთაძე, 100%, საცხოვრებელი სახლი ოზურგეთის სოფელ შემოქმედში ფართობი 140.00კვ.მ.

ჯემალ შოთაძე, 100% ბინა თბილისი, ნუცუბიძის ქ. №183, ფართობი 56.00 კვ.მ.

მანანა ბლაგიძე 100%, მიწის ნაკვეთი თბილისი, დიღმის საცდელი მეურნეობა, ფართობი 1000.00 კვ.მ.

მანანა ბლაგიძე, 100%, მშენებარე ბინა მგალობლიშვილის №1. ფართობი 80.00 კვ.მ.

მანანა ბლაგიძე, საცხოვრებელი სახლი თბილისი, ფანასკერტელის ქ. №6, ბინა 132, ფართობი 100.00 კვ.მ.

მთავარი პროკურორის მოადგილეს მოძრავი ქონება აღნიშნული არ აქვს, ასევე, არ აქვს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები. რაც შეეხება გრაფას, „საქართველოსა და ან სხვა ქვეყნის საბანკო ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებულ ანგარიშებს“:

ირაკლი შოთაძე, „ლიბერთი ბანკი“, სახელფასო 600.00 ლარი.

ირაკლი შოთაძე, „ლიბერთი ბანკი“, საკრედიტო 5000.00 ლარი.

ნინო გოტიაშვილი, „ლიბერთი ბანკი“, სახელფასო 150.00 ლარი.

მანანა ბლაგიძე, „თიბისი ბანკი“ სახელფასო 100.00 ლარი.

დეკლარანტსა და მისი ოჯახის წევრებს ხელზე ნაღდი ფული არ აქვთ, რაც აღემატება 4000 ლარს, ასევე, ოჯახის არც ერთი წევრი არ მონაწილეობს სამეწარმეო საქმიანობაში.

# როგორ მოვიქცეთ ტერორისტული აქტის შემთხვევაში? – BBC რჩევებს აქვეყნებს

ისეთი მასშტაბური ტერორისტული აქტისთვის, რომელიც პარიზში მოხდა, მზად არც ხელისუფლება აღმოჩნდა და არც ჩვეულებრივი მოქალაქეები. ტერაქტის ბევრი თვითმხილველი ამბობდა, რომ მათ პირველი გასროლა, უბრალოდ, ფოიერვერკის ხმად მიიჩნიეს.

ფსიქოლოგი და საბრძოლო სიტუაციებში გადარჩენის კონსულტანტი ჯონ ლიჩი „ბი-ბი-სი“-სთან ამბობს, რომ ასეთი შემთხვევები ხშირია, რადგან ადამიანები, რომლებიც არასდროს მოხვედრილან ექსტრემალურ სიტუაციაში, ამ ხმებს ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ხმებთან აიგივებენ და ის დრო, რაც მათ რეალობის გასაცნობიერებლად სჭირდებათ, შესაძლოა, ფატალური აღმოჩნდეს.

მსოფლიოს მოსახლეობა, რა თქმა უნდა, გამუდმებულ შიშში ვერ იცხოვრებს, მაგრამ მაინც არსებობს რაღაცები, რაც ადამიანებმა ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა გავითვალისწინოთ და რაც ტერორისტული თავდასხმისას გადარჩენის შანსის გაზრდაში დაგვეხმარება.

### მზადყოფნა უარესისთვის

ასეთ სიტუაციებში ყოველთვის უნდა დავუსვათ კითხვა საკუთარ თავს, რას გავაკეთებ, თუ სიტუაცია გაუარესდება?

როდესაც რესტორანში ან კინოში ვსხედვართ, არასდროს ვამახვილებთ ყურადღებას ავარიულ გასასვლელებზე, არადა ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუ გვეცოდინება, როგორ გავაღწიოთ შენო-



ბიდან არეულობის შემთხვევაში, ეს ძალიან ბევრ ადამიანს გადაარჩენს.

პარიზში, ბატაკლანის თეატრიდან დაცვამ ადამიანთა დიდი ჯგუფი სწორედ ავარიული გასასვლელით გაიყვანა და გადაარჩინა.

### სწრაფი რეაქცია

ლიჩის დაკვირვებამ აჩვენა, რომ ასეთ სიტუაციებში ადამიანების მხოლოდ 15 პროცენტი ახერხებს კონცენტრირებას, დანარჩენები კი იმდენად გაოგნებულნი არიან მომხდარით, რომ ვერ ხვდებიან, რა გააკეთონ. გარდა ამისა, ადამიანები მიდრეკილნი არიან, აჰყვნენ ჯგუფის მოქმედებას და ამიტომ თუ უმეტესობა პანიკაშია, მათაც თავისდაუნებურად ეწყებათ პანიკა.

მთავარია, მოახერხოთ თავის ხელში აყვანა და გამოსავლის სწრაფად მოძებნა, ნებისმიერ სიტუაციაში, არ აჰყვეთ დაბნეულობას და ეს თქვენი გადარჩენის შანსს ძალიან გაზრდის.

### თავდამსხმელების მზერისგან მიმალვა

პირველი, რაც თავდასხმისას უნდა გააკეთოთ, ეს თავდამსხმელების მზერისგან მიმალვაა, ამისთვის ზოგჯერ, უბრალოდ, იატაკზე დაწოლაც საკმარისია. თუ შენობაში არის რამე, რასაც ამოეფარებით, აუცილებლად გამოიყენეთ.

პარიზის თავდასხმისას ბევრი ადამიანი იმან გადაარჩინა, რომ მათ რესტორანში მაგიდები ამოატრიალეს და მათ უკან მიიმალნენ. თეატრში კი ხალხი დინამიკებსაც შეეფარა, თუმცა დარბაზში ბევრი დასამალი ადგილი არ იყო და სროლას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. გადარჩენილმა ირლანდიელმა ცოლ-ქმარმა თქვა, რომ მათ გადარჩენა თავის გარდაცვლილად გასაღებით მოახერხეს, ისინი იწვნენ გაუნძრევლად დახოცილ ადამიანებს შორის. ეს ტერორისტებს აბნევს, რადგან ისინი ძირითადად მოძრავ სამიზნეს ესვრიან, მით უმეტეს სიბნელეში.

### არ მოგერიდოთ გაქცევა

თუ ამის შანსი გაქვთ, აუცილებლად გაიქეცით. ეს ძალიან სარისკო ნაბიჯია, მაგრამ ხშირად ერთადერთი შანსიცაა გადარჩენისთვის. პარიზის ტერაქტებისას რამდენიმე ადამიანმა გასასვლელამდე მირბენა მოასწრო, რამდენიმე კი გვერდით ოთახებსა და ტუალეტში მიიმალა და ისინი გადარჩნენ.

### დაეხმარეთ ერთმანეთს

ეს აუცილებელია. თუ თქვენ შეძლებთ რამდენიმე ადამიანთან ერთად ორგანიზებულად მოქმედებას, თქვენი გადარჩენის შანსი გაიზრდება, მაგალითად, ამით აიცილებთ ჭყლეტაში მოყოლას, თუ შენობაში ერთი გასასვლელია.

შეიძლება ეს უტოპიურად ჟღერს, მაგრამ ადამიანები ექსტრემალურ სიტუაციებშიც კი ახერხებენ ორგანიზებას. ადამიანები ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ასეთ სიტუაციებში თავის თავს უნდა დაეხმარონ, მაგრამ სხვებთან ერთად მოქმედებაც ძალიან მნიშვნელოვანია. (presa.ge)

**შეიძლება ჯონ ლიჩი თავისი საქმის კარგი სპეციალისტია, მაგრამ ჩვენ ორ რჩევას დავამატებდით: ვისაც ცეცხლსასროლი იარაღი არ უყვარს, გაზის ბალონი, ან „შოკერი“ რომ ატარონ, ურიგო არ იქნება, ხოლო იმ ქვეყნებმა, სადაც იარაღის ტარება აკრძალულია, საფრთხეებიდან გამომდინარე, დააკანონონ და ადამიანებს შეიარაღებული ტერორისტებისთვის წინააღმდეგობის გაწევის და თავის დაცვის შანსი მაინც მისცენ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

# ქართველებმა საფრანგეთში მოგზაურობა გადაიფიქრეს




პარიზში მომხდარი ტერაქტის შემდეგ, ზოგიერთმა საერთაშორისო ავიაკომპანიამ საფრანგეთის დედაქალაქის მიმართულებით მიმოსვლა შეაჩერა. პარალელურად, საფრანგეთის დედაქალაქში მკვეთრად შემცირდა ტურისტების რაოდენობა. გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა და პარიზის მონახულების სურვილი ქართველებმაც გადათქვეს.

ქართული ტუროპერატორები აცხადებენ, რომ პარიზის ტერაქტის შემდეგ საფრანგეთის მიმართულებით არც ერთი ჯავშანი არ გაკეთებულა, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით მომხმარებლებს დაგეგმილი ტურების გაუქმების მოთხოვნით მათთვის არ მიუმართავთ. ტურისტული კომპანიები ამ ეტაპზე ვერ აკეთებენ გრძელვადიან პროგნოზს, რამდენად იმოქმედებს მათ ბიზნესზე არსებული არასტაბილური ვითარება და იმედოვნებენ, რომ სიტუაცია მალე დასტაბილურდება.

საგარეო საქმეთა სამინისტრო საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ მოქალაქეებს თავშეკავებისკენ და სახლებში დარჩენისკენ მოუწოდებს, შესაბამისად, მსგავსი ინფორმაციის გავრცელება თავისთავად ასახვას ჰპოვებს ტურიზმზე.

ტურიზმის ასოციაციის ხელმძღვანელი ნატა კვაჭანტირაძე აცხადებს, რომ მომხმარებლებმა საფრანგეთში მოგზაურობის გეგმები გადადეს. ჯერჯერობით ტერაქტიდან რამდენიმე დღეა გასული და სრულფასოვანი ანალიზის გაკეთება რთულია.

ზოგადად კი, ფრანგულმა ტურიზმმა ტერაქტების შედეგად 3 მილიარდი დოლარი დაკარგა. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ პარიზზე ტერორისტულ თავდასხმას ტურიზმზე გრძელვადიანი ნეგატიური შედეგები ექნება. (for.ge)

# „ქურთი სტალინი“




სოციალურ ქსელში „ქურთი სტალინი“ გამოჩნდა. ასე მას საბჭოთა კავშირის ლიდერთან მსგავსების გამო მოიხსენიებენ. სინამდვილეში კი ფოტოზე გამოსახული მამაკაცი ქურთისტანის სამხედრო პირი და პარტია „თავისუფალი ქურთისტანის“ გენერალური მდივანი პეშმერგა ხუსეინ იაზდანპანია.

„ტვიტერის“ მომხმარებლები შემდეგი შინაარსის „პოსტებს“ დებენ:

„ქურთისტანის არმიას შეუძლია მისვლა ბერლინამდე“; „ის დაბრუნდა“; „ის არასდროს ნებდება მტერს, ის მას ანადგურებს“.

როგორც ჩანს, ერაყის ქურთისტანის სამხედრო ძალების მეთაური არა მარტო გარეგნულად, არამედ ხასიათითაც ჰგავს სტალინს. (primetimenews.ge)

# რამდენით ძვირდება თამბაქო და ალკოჰოლური სასმელები 1 იანვრიდან



19 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი განიხილეს, რომელიც 2016 წლის 1 იანვრიდან თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის მატებას ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიღების მიზანია თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის ოპტიმიზაცია.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან აქციზის ფიქსირებული განაკვეთის ზრდა დაგეგმილია:

– ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) - 0,20 ლარის ოდენობით;
– უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) - 0,05 ლარის ოდენობით;
– სიგარებზე ერთ ღერზე და სიგარალებზე 20 ღერზე – 0.4 ლარით;
– ყალიონით მოსაწევ და საღეჭ ან საყნოს თამბაქოზე 1 კგ-ზე – 5 ლარით.
– ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის პროპორციული განაკვეთი იზრდება 5 დან 10 პროცენტამდე.

ასევე 2016 წლის 1 იანვრიდან ვისკიზე, რომზე და ტაფიაზე, ჯინისა და ღვიის ნაყენზე აქციზის განაკვეთის 10 ლარიდან 15 ლარამდე, ხოლო სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე და ეთილის სპირტზე (გარდა, ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით მიღებული სპირტის ნაყენებისა, ლიქიორებისა და ზოგიერთი სხვა დაბალ ალკოჰოლური სასმელისა), აქციზის განაკვეთი გაიზრდება 10 ლარამდე.

კანონპროექტი განსახილველად საქართველოს პარლამენტს გაეგზავნება. (ghn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# კარდიოქირურგი ლეო ბოკერია კვების რეჟიმის შესახებ



ცნობილი ექიმი-კარდიოქირურგი, პროფესორი, აკადემიკოსი ლეო ბოკერია ტელეკომპანია **РЕН ТВ**-ისთან ინტერვიუში ჯანმრთელ კვებაზე საუბრობს.

მან აღნიშნა, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენა კვების რეჟიმზე, მცდარია.

„საუზმე შენ მიირთვი, ანუ ნოყიერად ისაუზმეთ, ასე ამბობენ – ეს სისულელეა. აბა, წარმოიდგინეთ, დილით იღვიძებთ, ორგანიზმი იწყებს სამუშაო მდგომარეობაში მოსვლას, ჯდებით მაგიდასთან, მიირთმევთ ხორცს, ცომეულს, სვამთ ერთ ფინჯან რაიმე სითხეს. იცვამთ და სამსახურში მიდიხართ, როგორ უნდა იმუშაოთ ასე დანაყრებულმა?“

მისივე თქმით, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მან დასავლელი კოლეგებისგან ისწავლა: „ისინი დილით ერთ ფინჯან ყავას მიირთმევენ, სადილზე ბუტერბროდს, ხოლო სრულყოფილად მხოლოდ საღამოს, სამუშაო საათების შემდეგ იკვებებიან, შემდეგ კი ვარჯიშობენ“, – განაცხადა კარდიოქირურგმა. „ასე, რომ საუზმე დაუთმეთ მტერს, სადილად წაიხემსეთ, საღამოს ნორმალურად მიირთვით, შემდეგ კი ფიზკულტურა. ჩემი დაკვირვებით, იმ ქვეყნებში, სადაც ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, ასეთი რეჟიმით ცხოვრობენ“, – განაცხადა ლეო ბოკერიამ. (news.ge)

# „ობამას ადმინისტრაციაში მილიარდებს იპარავენ“




პორტალმა **WikiLeaks**-მა გამოაქვეყნა მორიგი სკანდალური დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს ობამას ადმინისტრაციაში კორუფციის არსებობას – იქ მილიარდობით დოლარს იღებდნენ.

საიტზე განთავსებულია დაახლოებით 50-საათიანი აუდიოჩანაწერი, რომლებიც მოიცავს მონაწილე კომპანია **AbilityOne**-ის ტოპ-მენეჯერთა, ასევე, არაკომერციული ორგანიზაცია **SourceAmerica**-ს იურისტი ჯინა რობინსონისა და **Bona Fide Conglomerate**-ის აღმასრულებელი დირექტორის რუბენ ლოპესის მოლაპარაკებებს.

საუბრები უჩვენებს, რომ პროგრამის, რომლის ბიუჯეტიც 3 მლრდ დოლარს შეადგენს, სახსრების ნახევარი არადანიშნულებისამებრ მიდის. ლაპარაკია იმაზე, რომ ფულის გათეთრებაში მონაწილეობდნენ ობამას ადმინისტრაციის 10 ჩინოვნიკი და თეთრი სახლის სამი წარმომადგენელი მისი წინამორბედი ჯორჯ ბუშ უმცროსის მმართველობისას. (saqinform.ge)



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**„ალია“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორზე“ დაყრდნობით წინა ნომერში ბიუჯეტის იმ ნაწილზე წერდა, რომელიც მერიის თანამშრომლების ფუფუნებაზე და ხელშეკრულებით დასაქმებული „ქართული ოცნების“ აქტივისტებზე უნდა დაიხარჯოს. ამჯერად, „მედიატორს“ თბილისის გამგეობებში ბიუჯეტის თანხების ხარჯვა შეუმოწმებია და დარღვევებიც აღმოუჩენია.**

**რაში ხარჯავენ გამგეობები ფულს მაშინ, როცა გამგეობებში მისულ ადამიანებს უარით ისტუმრებენ?**

**„ალიას“ „მედიატორის“ თანადამფუძნებელი, თეონა ჭალიძე ესაუბრა:**

– თბილისის გამგეობები ისევ აგრძელებენ თანხების არაეფექტურად ხარჯვას და ამის დანახვას ბევრი კვლევა არც სჭირდება. დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, დაწვრილებით განვიხილავ გამგეობების მუშაობას და მკითხველი ბევრი ანალიზის გარეშეც დარწმუნდება ამაში.

დავიწყებ ისნის რაიონის გამგეობით – ამ გამგეობამ, მარტო ორი კულტურული ღონისძიების ჩატარებაში, ნოემბერში 10 000 ლარზე მეტი გახარჯა. რაც არ უნდა სასაცილოდ მოგვეჩვენოთ, ამ თანხებიდან მარტო 1 000 ლარი დახარჯულია შემდეგი დასახელების მუხლში – „კომუნიკაცია სოციალურ ქსელში“.

**— რას გულისხმობენ?**

– დაკონკრეტებული აქვთ – მათი განმარტებით, ეს 1 000 ლარი „ფეისბუკზე“ ღონისძიების ანონსის გავრცელება უჯდებათ.

**— „ფეისბუკის“ საშუალებით ანონსის გავრცელება ფასიანია? ჩვენ ამ დრომდე ვიცით, რომ უფასოა...**

– სწორედ ეგ არის გაუგებარი – რა ანონსი, რა სოციალურ ქსელში კომუნიკაცია, „ფეისბუკში“ რას აკეთებენ და რაში იხდის ისნის რაიონის გამგეობა ფულს, ვერაფრით ვხვდებით. გაუგებარია, „ფეისბუკში“ რას აანონსებენ და რა კომუნიკაციაზეა საუბარი და რაში იყრება ფული. ამ თანხით, მინიმუმ 10 ადამიანის უზრუნველყოფა შეიძლებოდა მედიკამენტებით, რაც ასე გაძვირებულია დღეს და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მოქალაქეებისთვის.

აღარაფერს ვამბობ მომღერლებისა და წამყვანების ჰონორარებზე, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით შეირჩევიან ხოლმე და მათი შემოსავალი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულობაზეა დამოკიდებული. ასეთია, მაგალითად, ბესო კალანდაძე, რომლის გარეშეც ისანში ღონისძიება არ იმართება.

„საინტერესოდ“ საქმიანობს მთაწმინდის რაიონის გამგეობაც – აღნიშნული გამგეობა ატარებს ავტო და მოტომოყვარულთა საჩვენებელ გამოსვლას და შეჯიბრს, რაც 13 000 ლარი უჯდება.

გამგეობა, გამარჯვებული სამეულისთვის სარეცხ მანქანას, მობილურ ტელეფონსა და მტვერსასრუტს ყიდულობს. რა არის, იცით? ნუთუ მთაწმინდის რაიონის მოსახლეობას სხვა პრობლემები არ აქვს? ნუთუ მთაწმინდის რაიონში, სხვა,

# „ნეტა ვინმე მაინც არ კვდება, რომ მის ადგილზე მე ჩამსვანო?“



თეონა ჭალიძე

## თბილისის უფასო სასადილოებში რიგები დგას, გამგეობები კი ფულს მომღერლებს კონცერტებში უხდიან

უფრო პრიორიტეტული საკითხები არ არსებობს? სხვათა შორის, ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვებს რომ გადავხედე, ჩანს, რომ მსგავს ღონისძიებაზე მარტო მსაჯების, წამყვანის ანაზღაურება 5 000 ლარზე მეტი უჯდებათ.

ამ გამგეობებს არ ჩამორჩება ჩუღურეთის რაიონის გამგეობაც, რომელმაც 17 000 ლარზე მეტი ღირებულების ავეჯი შეიძინა, მათ შორის 6 300 ლარი ტყავის სკამებსა და სავარძლებში დახარჯა. ეტყობა, მთელი დღეები იმ სავარძლებში რბილად რომ ისხდნენ, მაგიტომ.

სამწუხაროა, რომ ხალხთან საუბრისა და მათი პრობლემების მოგვარების ნაცვლად ფუფუნებაზე გათვლილი და არამიზნობრივი ხარჯვა არჩიეს გამგეობებმა და ეს ხდება მაშინ, როცა მოსახლეობა გამგეობას მიმართავს თხოვნებით – მედიკამენტების თაობაზე, ოპერაციების დაფინანსებაზე, ბინის ქირით უზრუნველყოფაზე, უფასო სასადილოთი სარგებლობის მოთხოვნით, ზამთარში შეშით უზრუნველყოფის, კომუნალური გადასახადების გადახდის, სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის თხოვნით... ესაა ის ძირითადი საკითხები, რაც მოსახლეობას აწუხებს. ამ მოქალაქეებს უარით ისტუმრებენ და პასუხად ბიუჯეტში თანხების არქონას ასახელებენ.

უფასო სასადილოებთან რიგი დგას – სასადილოებში ადგილების არქონა ისეთი პრობლემაა გამწარებული ხალხისთვის, რომ იყო შემთხვევა, როცა ისეთ გამწარებულ ქალსაც კი შევხვდი, რომელმაც ჩემი თანდასწრებით თქვა, – ნეტა ვინმე მაინც არ კვდება, რომ მის ადგილზე მე ჩამსვანო?.. მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა და წარმოიდგინეთ, როგორ უჭირდა, ასეთი რამ რომ გაიფიქრა და მერე თქვა.

ამ მთავრობამ, მერიამ, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა არ შეასრულეს თბილისელებს არანაირი წინასაარჩევნო დაპირება, ხალხი მოატყუეს, ოცნებები ვერ აუხდინეს და ხალხი უკვე ისეთ დღეშია, ნარმანია თავისუფლად ვერ გაივლის მოსახლეობაში. მარტო ხეებს რგავს და იმასაც ვერ უვლიან მერე – ან ხმება, ან ძროხები მიირთმევენ ნერგებს.

აქვე მინდა, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით იმ ადამიანის შესახებ გავავრცელო ინფორმაცია, რომლის დახმარებაც, წესით და რიგით, მთავრობას ევალება, მაგრამ ის ყურადღების მიღმაა დარჩენილი. საუბარია, 13 ივნისს სტიქიით დაზარალებულ ახალგაზრდა ბიჭზე, რომელსაც დახმარება ესაჭიროება.

ვაზგენ ალავერდიანს სტიქიის ღამეს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა. სასწრაფო ოპერაციის მერე, რომელიც დაგვიანებით ჩაუტარდა, მას მძიმე დაავადება აღმოაჩნდა, რომლის მკურნალობისთვის საჭირო თანხები ოჯახს არ გააჩნია. ისინი ჯერ კიდევ ქირით ცხოვრობენ.

მივმართავ თბილისის მთავრობას – 13 ივნისს დაზარალებულთა ფონდში მილიონები რომ შემოიტანეს ბიზნესმენებმა და რიგითმა მოქალაქეებმა, კეთილი ინებეთ და მიხედეთ ამ ახალგაზრდას. 13 ივნისის სტიქია ყველასთვის არ დასრულებულა, ისევ გრძელდება და ეს ოჯახი ერთ-ერთია მათ შორის, ვისთვისაც სტიქია ისევ გრძელდება.

მერე რომ არ მოიმიზეზოთ, ვერ მივაკვლიეთ ვინ არისო, მისი დედის, ქალბატონი ნათელას ნომერს ვაქვეყნებთ: 555-25-70-30.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ერთი „ნაცებმა“ იცოდნენ — მოწინააღმდეგეს ყველას რუსეთის აგენტად რაცხავდნენ, „ოცნება“ კი ყველა მოწინააღმდეგეს „ნაცს“ უწოდებს — ნორმალურია ახლა ეს?!



აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებაზე სახელმწიფო უწყებებში დანამატების გაზრდასთან დაკავშირებით განმარტებები აუდიტის სამსახურის წარმომადგენელს პარლამენტში მოსთხოვეს.

თამაზ მეჭიაური აცხადებს, რომ ლაშა თორდიას განცხადებები არასამართლიანია.

– ოპოზიციონერი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, აუდიტის სამსახური, მაგრამ ნამეტანი „ნაციონალურ“ ქაღალდში არ უნდა შეიფუთოს. კრიტიკული უნდა იყოს ყველა თანაბრად. არ მინდა, ვიფიქრო, რომ, როგორც ყოფილი „ჩეკისტი“, ასევე, ყოფილი „ნაციონალი“ არ არსებობს, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

თავად აუდიტის სამსახური კი მთავრობას იმ დებულების გადახედვას ურჩევს, რომელიც დანამატების საკითხს არეგულირებს. (rustavi2.com)

## „ყველა დღესასწაულის მოლოდინში იქნება, ჩემ გარდა!“



გარდაცვლილი მსახიობის კოტე თოლორდავას მეუღლე განო მელითაური სოციალურ ქსელში ემოციურ პოსტს აქვეყნებს:

– მალე დეკემბერი მოვა... დაიწყება საახალწლო ორომტრიალი... გამოგონილ დღესასწაულს ჩაბღაუჭებული გარემო, რომელიც ელვისებური სისწრაფით იბრუნებს მხარეს, შეიცვლის ფერებს და კიდევ ერთხელ შემომახეთქებს აბსურდულ რეალობას... ყველა და ყველაფერი ერთიანად გადაეწყობა – კომპანიების საახალწლო გზავნილები, საახალწლო ვიტრინები, საახალწლო პროგრამები ტელევიზორში... საახალწლო ბანერები რეალურ და ვირტუალურ სივრცეებში, ბავშვების გულუბრყვილო სურვილები, რომლებსაც ბაღებსა და სკოლებში დააწერინებენ თოვლის ბაბუისთვის...

ყველა დღესასწაულის მოლოდინში იქნება! ყველა, ჩემ გარდა!.. მე აღარავინ შემიქმნის დღესასწაულს!.. მე თავად მომიწევს მისი მოგონება! ძალით, გულგასიებული წავალ ნაძვის ხის საყიდლად, რადგან თავს დავაჯერებ, ძველის დადგმა ცუდი იქნება ბავშვებისთვის, ჩემს მითურ სახლში გაჯის, ცემენტის, დამტვრეული ფილებისა და ცარიელი ნაჩუქარი საღებავით შეღებილი კედლების გარემოცვაში (რომლის ფერსაც წყობიდან გამოვყავარ), წარწერიან ყუთებში სათამაშოების გადასარჩევად ბეტონის იატაკზე დავჯდები... მერამდენე სახლს იცვლიან ეს ყუთები? შემთხვევით, კედელზე უაზროდ აყუდებულ სარკეში საკუთარ ანარეკლს მოვკრავ თვალს... უცხოა აქაურობა, მაგრამ ბავშვებს სჭირდებათ დღესასწაული, ფერადი, სიცოცხლით სავსე, ჯადოსნური... თუმცა მას არც ნივთები, არც საჩუქრები ან დეკორაცია... არა!!

დღესასწაულს მე და შენ ვქმნიდით, სანუკვარო, რადგან ახალ წელს ყოველთვის, ყოველთვის ისეთივე პატარა ვიყავი შენთან ერთად, როგორც ტასო, თარაში და ლოლა არიან დღეს, – წერს განო. (etanews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი შიშობს, რომ შესაძლოა, ტერორისტებმა ქიმიური იარაღი გამოიყენონ



საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი არ გამორიცხავს, რომ ტერორისტებმა შესაძლოა, ქიმიური ან ბაქტეოროლოგიური იარაღი გამოიყენონ.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა საფრანგეთის ნაციონალური კრების სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– არსებობს რისკი, რომ ტერორისტები ქიმიურ ან ბაქტეოროლოგიურ იარაღს გამოიყენებენ, – აღნიშნა მანუელ ვალსმა. (pia.ge)



## და რა, ქალბატონო მინისტრო, მადლობა გითხრათ ამის გამო?!

იუსტიციის მინისტრის, განმარტებით, მას მისთვის სასურველი პროკურორობის კანდიდატები ჰყავდა, თუმცა ეს არ გააკეთა და საპროკურორო საბჭოს ის ადამიანები წარუდგინა, რომლებიც აკადემიურმა წრეებმა ურჩია.

– მყავდა ჩემთვის სასურველი კანდიდატები, რომლებიც შემეძლო ამ სამპირიან სიაში ჩამესვა, მაგრამ ჩემს თავს ამის უფლება არ მივეცი. სამივე კანდიდატი, რომელიც საბჭოს წინაშე წარვადგინე, მხოლოდ ის კანდიდატები იყვნენ, რომლებიც უნივერსიტეტებმა და სამოქალაქო სექტორმა შემომთავაზეს. ერთპიროვნულად შემეძლო, მაგრამ არ დამისახელებია კანდიდატები, მხოლოდ ისინი დავასახელე, ვინც აკადემიურმა წრეებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ მირჩია. მჯერა, ეს უფრო სწორი იყო ამ პროცესისთვის, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (pia.ge)

## „ბილდი“ — გერმანია-ნიდერლანდების ამხანაგური მატჩის დროს მასშტაბური ტერაქტის განხორციელება იგეგმებოდა




17 ნოემბერს ჰანოვერში, გერმანია-ნიდერლანდების ამხანაგური მატჩის დროს მასშტაბური ტერაქტის განხორციელება იგეგმებოდა. ამის შესახებ გერმანული გამოცემა „ბილდი“ საიდუმლო სადაზვერვო დოკუმენტზე დაყრდნობით წერს, რომელიც გერმანულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისგან, მატჩამდე ორი საათით ადრე მიიღეს.

„ბილდის“ ინფორმაციით, ტერორისტები ბომბის აფეთქებას ჰანოვერის სტადიონსა და რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე გეგმავდნენ. (ინტერპრესნიუსი)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მწყემსის ინსტრუმენტი
2. ქვები ტროტუარის გასწვრივ
3. მწვანილი
4. ოპერა „ევგენი ...“
5. „წითელი და შავი“ ავტორი
6. თბილისის უმანი
7. ჰოლანდიელი მხატვარი
8. მისი დედაქალაქია რომი
9. ნაჭრის მრგვალი ქუდი
10. ძაღლის ჯიში
11. მსახიობი ... ჰეპბერნი
12. ვულკანური მინა
13. მსახიობი ... ანდერსონი
14. ერთგვარი კანფეტი
15. სპილენძის დოქი
16. იტალიის საკურორტო სანაპირო
17. ეგზოტიკური ფრინველი
18. ცვარი
19. მხ/ფ „თავადის ქალი ...“
20. შეხვედრა, ანუ ...
21. მიმიკის უქონლობა
22. წყლის შინაური ფრინველი
23. ყვავილი
24. კოსმოსური კვლევის ცენტრი აშშ-ში
25. მწერლები ... და პეტროვი
26. ბროში ადამიანის პროფილით
27. ტბა კანადაში
28. ბოსტნეული
29. მაგნიტი, ანუ ...
30. სივრცეში მოძრავი სხეულის გზა
31. პატარძლის თავსაბურავი
32. აქ დებენ ფსონებს
33. ტაძარი მთაწმინდის მთაზე
34. კვლევა ფიტის ანაბეჭდებით
35. მომღერალი ... მარტინი
36. ... მარაბდელი
37. ერთგვარი ქარი
38. უსინათლოთა ანბანი
39. რუსი მეიგავე
40. ვულკანური მასა
41. ამერიკული კეტბურთი
42. მსახიობი ... გარდნერი
43. არგენტინული ჩაი
44. მისი დედაქალაქია მეხიკო
45. სამშენებლო მასალა
46. მხ/ფ „მაგდანას ...“
47. ინტუიცია
48. ნავთობმზიდი გემი
49. შხამიანი მწერი
50. ინდოეთის დედაქალაქი
51. მით. გმირი. ცნობილია ქუსლით
52. მეტყველების ექიმი
53. კარგად მოარული ცხენი
54. ქალაქი ავემო ქართლში
55. სხვა ქვეყანაში მესვლის უფლება
56. შვედური ავტომობილი
57. მსახიობი ედრიან ...
58. ნორვეგიის დედაქალაქი
59. მეფის ვაჟი
60. მწვანილი
61. იაპონური მულტიპლიკაცია
62. მათემატიკური უცნობი
63. ქლავიშებიანი ინსტრუმენტი
64. მსახიობი შონ ...
65. კომპოზიტორი ენიო ...
66. კომპოზიტორი მორის ...
67. ქალაქი ინდოეთში
68. იუმორისტი თამუნა ...
69. ბოსტნეული
70. ოჯახი, ანუ ...
71. შოკოლადის ხის ნაყოფი
72. პარაზიტი მცენარი
73. ჭადრაკის ფიგურა
74. საკუთარი თავის გადაღება
75. ნუშის ლიქიორი
76. თევზის ჯიში
77. მომღერალი ... ბარძიმაშვილი
78. მკერდის კორექციის მასალა
79. კუნძული. ცნობილია გიგანტური ვარანებით
80. მომღერალი ბობ ...
81. შტატი აშშ-ში
82. სამწლიანი ცხენების რბოლა
83. უეცარი შიში
84. ნოტ დოს ძველი სახელწ.
85. იაპონური ჭიდაობა
86. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება
87. ვერცხლის ათცენტიანი
88. მომღერალი ... რიდი
89. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
90. მცენარე. ხდიან ტეკილას
91. მწერის გარდაქმნის სტადიები
92. სამიკიტნო იტალიაში
93. ტაბლეტი
94. ციხესიმაგრე თბილისში
95. უქონრო თუთიყუში
96. რეჟისორი ... ჰოვარდი
97. დარტანიანის სატრფო
98. თავაშვებული ღრეობა
99. ამოსახველებელი ნაყენი
100. ...-კლარჯეთი
101. ქალაქი იაპონიაში
102. სიგრძის ძვ.რუს. ერთეული
103. ხემიანი საკრავი
104. ნიშნავს საწინააღმდეგოს
105. მსახიობი ... აფლეკი
106. აკრობატის სამოსი
107. სიმინდის ყვავილედი
108. სოფელი გორის რაიონში
109. სამკურნალო მცენარე
110. მეფის მხლებლები
111. ჭაობის ფრინველი
112. „ჰამლეტი“ პერსონაჟი
113. მომღერალი ... ვაიკულე
114. ბრაზილიელი ფეხბურთელი
115. ბანქოს ფურცელი ერთი ნახატით
116. თმის შეჭრის ფასონი
117. ბულგარული არაყი
118. ხორცის კერძი
118ა. გემის მთავარი კოჭი
119. დიკენსი. „ოლივერ ...“
120. ჩანთოსანი დათვი
121. პოეტი ... ახმადულინა
122. ანიკოს პირველი ქმარი
123. უანგარო შრომა
124. ნილოსის დუმფარა
125. „...-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“
126. სარწმუნოება ზოგადად
127. მარჯნის კუნძული
128. მსახიობი ... დეინსი
129. მომღერალი ეროს ...
130. „... კარენინა“
131. დიდი ნემსი
132. მსახიობი ... პაჩინო
133. გივი ბერიკაშვილი ფილმში
134. კავშირი, გაერთიანება
135. დედნიდან გადაღებული პირი
136. ნაჭუჭიანი ნაყოფი
137. ინგლისური ლუდი
138. რეჟისორი ... ლორთქიფანიძე
139. რომის პაპის გვირგვინი
140. მდინარე იტალიაში
141. მხ/ფ „... ქექია“
142. სსრკ-ში: ბორის ...

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## 10 ყველაზე სასარგებლო ტკბილეული

ახალი წელი ლამის კარს მოგვადგა და იმისთვის, რომ წინასწარ მოემზადოთ სასარგებლო ნუგბარით პირის ჩატკბარუნებისთვის, გადავწყვიტეთ, ცოტათი მაინც წაგეხმაროთ:

შავი შოკოლადი – უნდა დაივიწყოთ ტკბილი, რძიანი შოკოლადი და მწარე, ნამდვილი შოკოლადის მირთმევას შეეჩვიოთ. მასში გაცილებით ნაკლები კალორია და შაქარია. შეიცავს ისეთ სასარგებლო ნივთიერებებს, როგორიცაა ანტიოქსიდანტები, ცილა, კალციუმი, რკინა, მაგნიუმი და ვიტამინები.



დაგვეთანხმებით, ამხელა სარგებლის სანაცვლოდ ჭარბ სიტკბოზე უარის თქმა ნამდვილად ღირს.

ზეფირი – გაცილებით ნაკლებ კალორიას შეიცავს, ვიდრე სხვა ნებისმიერი ტკბილეული. მდიდარია ცილებით, ფოსფორითა და რკინით, რომელიც კუნთოვან ქსოვილებს აძლიერებს.

მარმალადი – პირველ რიგში, ნატურალური კომპონენტების გამოა სასარგებლო, შეიცავს პექტინს, რომელიც ქოლესტერინის დონეს ამცირებს, ტოქსინებს გამოდევნის და კუჭ-ნაწლავის სისტემას არეგულირებს. რაც მთავარია – ძალიან ცოტა კალორიის შემცველობა აქვს.



პასტილა – დაახლოებით იგივეა, რაც ჩვენებური ტყლაპი. ზომიერების ფარგლებში შეგიძლიათ, მიირთვათ რამდენიც გნებავთ, რადგან არ მოქმედებს ფიგურაზე. ამცირებს რადიაციის გავლენას და ორგანიზმიდან მძიმე ლითონების ნაწილაკებს გამოდევნის.

თაფლი – ზუსტად იმდენ კალორიას შეიცავს, რამდენსაც შაქარი, მაგრამ გაცილებით ტკბილია, ამიტომაც გაცილებით ნაკლებიც უნდა მივირთვათ. მაგალითად, თუ ჩაიში ორ კოვზ შაქარს იყრით, მისი თაფლით ჩანაცვლების შემთხვევაში ერთი კოვზიც საკმარისია. ამასთანავე, თაფლი ორგანიზმისთვის საჭირო ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, როგორიცაა ვიტამინები, მინერალები და ამინომჟავები. 100 გრამ თაფლში ყოველდღიური ნორმით გათვალისწინებული მაგნიუმი, მანგანუმი და რკინაა. შეგახსენებთ, რომ ნატურალურ თაფლზე ვსაუბრობთ და არა მის ხელოვნურ შემცვლელებზე.

ხალვა – არა მხოლოდ გემრიელია, არამედ გამაახალგაზრდავებელი ეფექტიც აქვს. ა, ე და ბე ვიტამინების ერთობლიობა კანისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პირველი მკურნალია. ცნობილია, რომ ხალვას კოსმეტიკური მიზნებითაც იყენებენ. მაგალითად, ხალვის ნიღაბი მშრალ კანს ძალიან უხდება.

ცუკატი – ბევრ მნიშვნელოვან ვიტამინ-ანტიოქსიდანტს შეიცავს: ბეტა-კაროტინი, ტოკოფეროლი, ასკორბინის მჟავა. აუმჯობესებს მეხსიერებას, ხსნის სტრესს, ამასთანავე, ნაკლებკალორიული და სასარგებლოა.

ჯემი – ვიტამინებისა და მინერალების საბადო. ყველაზე სასარგებლო ჟოლოს, კომშის, შინდისა და თხილის ჯემია. ჰოდა, გაითვალისწინეთ და საახალწლოდ სწორედ ამ ჯემებით გაუმასპინძლდით სტუმრებს.



ლერწმის შაქარი – ჯერ კიდევ 20 წლის წინათ დასავლელმა დიეტოლოგებმა თქვეს, რომ ყავისფერი ლერწმის შაქარი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე კლასიკური თეთრი შაქარი. მცირე გადამუშავების შემდეგ ლერწმის შაქარი ძალიან სასარგებლო ხდება ორგანიზმისთვის, შეიცავს რა კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, კალიუმსა და რკინას.

ხილი და კენკრა – ეს არის ვიტამინების, მიკროელემენტების, მინერალების, ანტიოქსიდანტების ჯგუფი, რომელიც ჩვენი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისთვის აუცილებელია. მასში ბევრი ორგანული მჟავა, ეთერზეთები, ცილები, ნახშირწყლები, ტანინები და მონელებისთვის აუცილებელი ნივთიერებებია. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან აფასებდნენ ხილსა და კენკრას. სხვათა შორის, დიეტის საუკეთესო საშუალებადაც ითვლება



*mainfun.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## პროფესიები, რომლებიც ოჯახებს ანგრევს – ფრთხილად შეარჩიეთ პარტნიორი



განქორწინების რისკი თურმე შეიძლება გამოითვალოს, ასე ამტკიცებენ ბრიტანელი მკვლევარები.

ყველაზე არასაიმედო პარტნიორები ოჯახურ ცხოვრებაში ისინი არიან, რომლებსაც, სამსახურის ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა ადამიანებთან ხშირი კონტაქტები უწევთ. სხვებზე მზრუნველი პროფესიების წარმომადგენლები ბევრ ძალასა და ენერგიას ხარჯავენ სხვებზე და ამით ოჯახურ ურთიერთობებს აზარალებენ.

ფსიქოლოგებმა დათვალეს, რომ განქორწინების ყველაზე დიდი ალბათობა (40 პროცენტზე მეტი) ბალერინებს, მასაჟისტებსა და ბარმენებს შორის არის. რისკის ანალოგიურ ჯგუფში ხვდებიან, ასევე, მედდები და ფსიქიატრები. სულ 20-პროცენტიანი რისკი აქვთ მდივნებს, მზარეულებსა და მათემატიკოსებს. კიდევ უფრო ნაკლები, 16 პროცენტი – მასწავლებლებს, მეხანძრეებსა და მწერლებს. 12-პროცენტიან ნიშნულზე არიან სასამართლო ორგანოებისა და სარიტუალო კანტორების თანამშრომლები. დანტისტები, ორთოპედები და ღვთისმსახურნი კი სამსახურის გამო ოჯახით ყველაზე ნაკლებად რისკავენ.

*etanews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## პოლიციაში მუშაობის დაწყება... ძებნილმა დამნაშავემ გადაწყვიტა

ერთ შტატში ჩადენილი დანაშაული რა შუაშია მეორე შტატთან? მიჩიგანში იმიტომ უნდა დამიჭირონ, რომ კენტუკში რაღაც ერთი-ორჯერ თავს სექსუალური თავისუფლების უფლება მივეცი და რაღაც ერთი-ორჯერ კაცებიც ემსხვერპლნენ ამ ჩემს თავისუფლებასო? – აღშფოთებულია 25 წლის ჯონ უესლი როუზი.



თურმე ახალგაზრდას შტატების მიხედვით ეცვლება განწყობა და ერთგან თუ დანაშაულის ჩადენის წყურვილი აქვს და იკლავს კიდეც ამ წყურვილს, მეორეგან პირიქით, ვერ იტანს დანაშაულს და სამართალდამცავთა რიგებში სურს დგომა, რათა ყოველგვარი უკანონობა აღკვეთოს. ჰოდა, ჩამოვიდა მიჩიგანში და პოლიციაში შერიფის თანამდებობაზე განცხადება შეიტანა. პოლიციამ არ დაიზარა და შეისწავლა მონდომებული ახალგაზრდის ისტორია. აღმოჩნდა, რომ ჯონ უესლი როუზი კენტუკის შტატში სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების ბრალდებით იძებნებოდა.

ისე, პოლიციაც კაი ჩათლახი აღმოჩნდა, დაურეკა ამ გაორებულ პიროვნებას და უთხრა, ეს რა მაგარი კადრი ხარ, მოდი ხელშეკრულებას ხელი მოაწერე, აყვანილი ხარო. გაბრიყვებული დამნაშავეც მივიდა და ბაც... დაადეს ხელბორკილი, დააკავეს და გაუყენეს კენტუკის გზას, სადაც სასამართლო და, დიდი ალბათობით, თავისუფლების აღკვეთა ელოდება.

*etotupo.ru*



სვანი და მეგრელი ნარდს თამაშობენ.

მეგრელი:

– აბა შაში, აბა შაში...

სვანი:

– მესტიაში, მესტიაში...

*****

ამსტერდამი. ბავშვი ქვიშაში თამაშობს. აივნიდან ეძახიან:

– შვილო, ამოდი საჭმელი ჭამე!

– ახლავე, დედა!

– დედა არ ვარ მე, ბიჭო, მამა ვარ!

ბავშვი თავისთვის ჩაიბურდღუნებს:

– მოდი და არჩიე ეს პიდარასტები!!!

*****

– დედა, რა გჭირს, მე ხომ უკვე 16 წლის ვარ და პომადის წასმას როგორ მიკრძალავ?

– ხმა ჩაიწყვიტე, გივიკო!..

*****

ქმარი ცოლს:

– საყვარელო, ეს წვნიანი გუშინდელია?

– მეტსაც გეტყვი, ძვირფასო – ეგ წვნიანი ხვალინდელიცაა!!!

*****

ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში მოხვდა – სამი ნეკნი აქვს გატეხილი, ტვინის შერყევა, კბილები ჩამტვრეული, თვალები ჩალურჯებული, კიდურები მოტეხილი... ექიმი ეკითხება:

– ავარიაში მოყევით?

– ეჰ... არა, კარადაში დამაცემინა...

*****

– დაგისხა?

– არა, საჭესთან ვარ.

– და მანქანით რას მოდიოდი, ვერ დატოვე?

– რა ვიცი, ვჩქარობდი – უჩემოდ არ დაიწყონ-თქო დალევა...

*****

ოფიცერი ახალწვეულებს ეცნობა:

– აბა, რა განათლება გაქვს, რიგითო?

– 9 კლასი, ბატონო ოფიცერო!

– და შენ?

– თსუ!

– თფუი, როგორ ლუღლუღებს! კითხვა მაინც თუ იცი?!

*****



მოსამართლე ბრალდებულს:

– რატომ ესროლეთ დაზარალებულს სამი ჭიქა?!

– პირველი ორი ვერ გავარტყი და...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***

***დავით ახობაძის ნახატი***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## რა შეიძლება გითხრათ თქვენმა პულსმა?

ორგანიზმში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ადრეული ხანიდან ადამიანები ცდილობდნენ პულსსა და ჯანმრთელობას შორის კავშირის დადგენას. პულსით შესაძლებელია არა მხოლოდ ორგანიზმის მუშაობის, არამედ ხასიათის დეტალების გარკვევაც. ასევე, ფეხმძიმე ქალს შეუძლია ბავშვის სქესის ამოცნობა.

– თუ თქვენი პულსის სიხშირე წუთში 45-ზე ნაკლებია, მაშინ გულთან დაკავშირებული პრობლემები გაქვთ და სასწრაფოდ უნდა მიმართოთ კარდიოლოგს, რათა თავიდან აიცილოთ ინფარქტი;

– თუ თქვენი პულსი წუთში 59-46 შორის მერყეობს, მაშინ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლის საფრთხის ქვეშ ხართ და ენდოკრინოლოგს უნდა მიმართოთ;

– თუ პულსის სიხშირე 80-ზე მეტია, მაშინ ჰიპერტონიულ დაავადებებთან, ან პირიქით, ძალიან დაბალ წნევასთან გაქვთ საქმე;

– როცა გულის კუნთები შეკუმშვის მაღალი სიხშირით გამოირჩევა, მაგალითად, 105 დარტყმა წუთში, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გააქტიურება ხდება, ამ დროს ენდოკრინოლოგის კონსულტაციაა საჭირო. გულისცემის გახშირება შეიძლება ბრონქული ასთმის ან ქრონიკული ბრონქიტის, სისხლში ჰემოგლობინის დონის დაცემის და ასევე, ჰიპოგლიკემიის დროს მოხდეს;

– ორგანიზმის ტემპერატურის მატებასთან ერთად პულსის სიხშირეც იმატებს, ყოველ მომატებულ გრადუსზე პულსი 10-ით იზრდება და ეს ნორმალურია. ასე რომ, მაღალი სიცხის დროს აჩქარებული პულსაციის არ შეგეშინდეთ;




– თუ პულსი არათანაბარია, პერიოდულად ვარდება და მოულოდნელად მაღალ ნახტომებს აკეთებს, ანემიასა და დაბალ წნევაზე მეტყველებს. ფეხმძიმეებს, თუ ისინი ბიჭს ელოდებიან, მარჯვენა ხელზე აქვთ უფრო ძლიერი პულსაცია, ხოლო თუ გოგონას დედობისთვის ემზადებიან – მარცხენაზე;

– ყველაფერს თავისი წესი აქვს, მათ შორის პულსის გაზომვასაც – უმჯობესია, დამჯდარმა გაიზომოთ (თუ ფეხზე დგახართ, უფრო მაღალია, თუ წევხართ – უფრო დაბალი). უზუსტობა რომ თავიდან აიცილოთ, ნუ გაიზომავთ ახალნასადილევზე, მძიმე ფიზიკური ან გონებრივი შრომის შემდეგ, მასაჟის, შხაპის, სექსისა და ანტიდეპრესანტების მიღების შემდეგ;

– პულსზე ადამიანის ტემპერამენტიც ახდენს გავლენას. მიიჩნევა, რომ ქოლერიკებისთვის 76-83 სიხშირის პულსი ნორმალურია, სანგვინიკებისთვის – 68-75, ფლეგმატიკებისთვის – 67 და ნაკლები სიხშირეა მისაღები, მელანქოლიკებისთვის კი 83 სიხშირის პულსი ნორმალურია;

*mainfun.ru*

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773

## როგორ უნდა გახდეს ადამიანი ბედნიერი?



ისეთი ადვილი ყოფილა ბედნიერების პოვნა, ვერც კი წარმოიდგენთ. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელი მეცნიერების „რეცეპტი“ უადვილესი შესასრულებელია და თუ მართლა დაგეხმარებათ, ძალიან მაგარი იქნება.

ჰოდა, იმის თქმა გვინდა, რომ, როგორც კონტინენტსგაღმელები ამბობენ, ბედნიერების შეგრძნება დამოკიდებულია... დღის ძილზე.

– ადამიანები, რომლებიც დღის მანძილზეც ახერხებენ დაძინებას, დანარჩენებზე ბედნიერები არიან, – ამტკიცებენ მოსაზრების ავტორები.

საიდან გაჩნდა ასეთი აზრი? განმარტება ასეთია:

ხანმოკლე ძილს დღის მანძილზე, თუნდაც ნახევარსაათიანს, შეუძლია „გამორთოს“ ადამიანის ორგანიზმი და მასში ბედნიერების ჰორმონის – სეროტონინის გამომუშავების დონე გაზარდოს. განსაკუთრებით სასარგებლოა ძილი ზამთრის პერიოდში.

სხვათა შორის, კვირის მანძილზე, სულ რაღაც, 3-საათიანი დამატებითი ძილი 37 პროცენტით ამცირებს ისეთი საშიში უსიამოვნებების რისკს, როგორიცაა, მაგალითად, ინსულტი, ინფარქტი.

სპეციალისტების რჩევაა, საუკეთესო შედეგის მისაღებად, ადამიანმა დღის მანძილზე 13-დან 15 საათამდე „წაუპლაცკარტოს“...

*medkarta.com*

## რატომ ჩნდება ქერტლი?



უხერხულობა და სირცხვილი, რომელსაც განიცდის ყველა, ვინც საკუთარ მხრებზე „თოვლს“ ხედავს, არაფერია ორგანიზმის პრობლემებთან შედარებით, რაზეც ქერტლის გაჩენა შეიძლება მიუთითებდეს.

მთავარი მიზეზი, რის გამოც ქერტლი ჩნდება, ქონის ჯირკვლების არასწორი მუშაობაა. თავის მხრივ, ასეთი დარღვევა მაშინ ხდება, როცა ადამიანი პანკრიასის ან ფარისებრი ჯირკვლის პრობლემებს განიცდის. ასევე, პრობლემები აქვს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობაში.

სპეციალისტები ამბობენ, რომ როგორი შამპუნიც არ უნდა გამოიყენოს ადამიანმა, შესაძლოა, ქერტლისგან თავი მაინც ვერ დაიხსნას. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია ექიმთან მისვლა, თუ არადა, უნდა მოხდეს ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების მიღება ან სამკურნალო შამპუნებით ბანაობა. გარდა ამისა, საჭიროა დე, ა, ე ბე1 და ბე6 ვიტამინები.

*brisknews.ru*

## მეცნიერები: ანტიბიოტიკები გასუქებას იწვევს



ზოგადად, ანტიბიოტიკების უარყოფით თვისებებზე ბევრს საუბრობენ და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც: მეცნიერების თქმით, ანტიბიოტიკების ხშირი მიღება შესაძლოა, გასუქებით დასრულდეს.

მიზეზად სპეციალისტები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ჩვეულებრივ, ანტიბაქტერიული პრეპარატები ნაწლავების ტრაქტში სასარგებლო მიკროფლორის რაოდენობას ამცირებს. მოსაზრების ავტორები ამერიკელი ბიოლოგები არიან, რომლებმაც კვლევები თაგვებზე ჩაატარეს.

მღრღნელებს ისინი დაახლოებით ისეთ ანტიბიოტიკებს აძლევდნენ, როგორსაც, ჩვეულებრივ, ბავშვებს ასმევენ ხოლმე (მოკლე კურსებით).

საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ასეთ ცხოველებს ტე-ლიმფოციტების გაცილებით დაბალი დონე აღმოაჩნდათ.

სპეციალისტების განმარტებით, ტე-ფიმფოციტების მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია სიმსუქნესთან. კერძოდ, რაც უფრო დაბალია იგი, ჭარბი წონაც მით უფრო ადვილად გროვდება.

ამერიკელების პარალელურად, აღნიშნულ საკითხზე დანიელმა მეცნიერებმაც იმუშავეს, რომლებმაც, საერთო ჯამში, დაახლოებით 28 ათასი ჩვილის მდგომარეობა შეისწავლეს. შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებიც დაბადების შემდეგ 6 თვის მანძილზე ანტიბიოტიკებს იღებდნენ, სიმსუქნისკენ იყვნენ მიდრეკილები.

*today.kz*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**20 ნოემბერი:** დღეს თავზე არავის არ გადაახტეთ, შეიძლება არ მოეწონოს. გზაში საიმედო საყრდენი შეგხვდებათ, შეეცადეთ, მხედველობიდან არ გამოგრჩეთ.

**კურო 22.04-21.05**

**20 ნოემბერი:** უახლესი საათები თქვენი საუკეთესო თვისებების გამოვლინების პერიოდი იქნება. თვითრეკლამაში არ გადაამლაშოთ, ყველაფერს გააფუჭებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**20 ნოემბერი:** არავისთან თავის მართლება არ მოგიწევთ. ნებისმიერ რამეს გაპატიებენ, მაგრამ ამით ბოროტად სარგებლობა არ ღირს.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**20 ნოემბერი:** მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება არავითარ შემთხვევაში არ იჩქაროთ. უკეთესია, ეს დღე საკითხის გააზრებას დაუთმოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**20 ნოემბერი:** უცნაურია, მაგრამ უსიამოვნებებს უკანასკნელ მომენტში დააღწევთ თავს, მაშინ, როცა მოგეჩვენებათ, რომ ხიფათი გარდაუვალია. იღბალი თქვენთანაა.

**ქალწული 23.08-22.09**

**20 ნოემბერი:** არავითარ შემთხვევაში არ აჰყვეთ გრძნობებს. ისინი იმდენად ძლიერი იქნება, რომ დაგაშვებინებთ შეცდომებს, რომლებსაც ველარ გამოასწორებთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**20 ნოემბერი:** სიტუაცია შესაძლოა, ისე განვითარდეს, რომ დაგეგმილი დასვენების ნაცვლად მთელი დღე ვიღაცის პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. უნდა შეეგუოთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**20 ნოემბერი:** შეეცადეთ, განწყობა გამოიკეთოთ. რამე იოლი პრობლემის მოგვარებას შეუდექით. რომ გაუმკლავდებით, საკუთარი თავის რწმენა დაგიბრუნდებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**20 ნოემბერი:** მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყოთ. ამ დღის შედეგი ან ტრიუმფი იქნება, ან კრახი. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

**თხის რქა 22.12-19.01**

**20 ნოემბერი:** სასიამოვნო არაა, მუდმივად ვიღაცის თვალთახედვის არეში ყოფნა, მაგრამ ასეთი დღე იქნება. შეეცადეთ, ამ სიტუაციას გაექცეთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**20 ნოემბერი:** შეიძლება ვინმესთვის ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება მოგიწიოთ. შეეცადეთ, ნელ-ნელა შეაპაროთ და შედეგი მოლოდინს გადააჭარბებს.

**თევზები 19.02-20.03**

**20 ნოემბერი:** შესაძლოა, დღეს ვიღაცა მოტყუებას გიპირებთ. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ეს მხოლოდ უკბილო ხუმრობა აღმოჩნდეს.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი **თამაზ ბესტავაშვილი**

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## კომპიუტერთან მუშაობა ნაოჭების გაჩენის მიზეზიც ხდება



ალბათ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი უსიამოვნებაა მათ შორის, რომელთა გამოწვევაც კომპიუტერს შეუძლია. თუმცა, რადგან საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა ასეთი საკითხიც წამოჭრეს, ჩვენც, უბრალოდ, გაგაფრთხილებთ.

– კომპიუტერი ვნებს არა მხოლოდ მხედველობასა და ხერხემალს, არამედ ადრეულ ასაკში ნაოჭების გაჩენაც შეუძლია, – ასეთი დასკვნა ბრიტანელმა კოსმეტოლოგებმა გამოიტანეს.

მათ ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი მოითხოვს დახმარებას სიბერის ნიშნების დროზე ბევრად ადრე გაჩენის გამო. რაც მთავარია, ყველა ასეთი პაციენტი კომპიუტერთან საკმაოზე მეტად დიდ დროს ატარებს.

სპეციალისტებმა ამ პრობლემას „კომპიუტერული სახე“ დაარქვეს და განმარტავენ, რომ მონიტორთან მუდმივად ახლოს ჯდომის გამო, სახეზე ჩნდება ნაოჭები, ორმაგი ნიკაპი, სივდება ქვედა წამწამები.

ამ ყველაფრის მიზეზია კომპიუტერთან მჯდომი ადამიანის არასწორი პოზა. გარდა ამისა, ინფორმაციის კითხვისას თუ უბრალოდ, საიტების თვალიერებისას, ადამიანი მიმიკით რეაგირებს, რაც ხდება კიდეც ადრეული ნაოჭების გაჩენის მიზეზი.

მოსაზრების ავტორები აკონკრეტებენ, რომ ჩვეულებრივ, აღნიშნული პრობლემა მშვენიერ სქესს აწუხებს, თუმცა არც მამაკაცები არიან უკეთეს მდგომარეობაში.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



გურიის ერთ-ერთ სოფელში მიცვალებულია გასაპატიოსნებელი. მეზობლები მსჯელობენ, როდის დაიწყონ პროცედურა, როდის დაბანონ, როდის ჩააცვან ტანსაცმელი...

ერთი მეზობელი თავგამოდებით გაიძახის:

– ჯერ ადრეა, ძამა, ჯერ ადრეა, ხვალ დილით ჩავაცვათ, ჯერ ადრეა!

ამოუვიდა მეორეს ყელში და:

– რაია, ძამა, რეიზაა ადრე, ამეიჩეჩავს ხვალ დილამდე, თუ?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.18